

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

**LIA KAPANADZE,
ELIZAVETA KHAKHUTASHVILI**

PUBLIC RELATIONS

TBILISI 2003

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლ. კაპანაძე, ე. ხახუტაშვილი

**საზოგადოებასთან
ურთიერთობა**

თბილისი 2003

**I. საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამედროვე
ტექნოლოგიის კონსეფსია, ეპოლუგია,
მენეჯერული საშუალებები**

1. შავლიმ რილეიშენის PR არსი და მინაარსი

1.1. შავლიმ რილეიშენის PR ყოველდღიურ ცხოვრებაში

ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები და სოციალური ჯგუფები თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ამყარებენ ურთიერთკავშირებს, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს სოციალური სუბიექტების აუცილებელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კომპრომისებს. ურთიერთკავშირებს და ურთიერთმოქმედებებს ახასიათებს ინტერესების კონფლიქტი, რომელიც მუდმივად იმრდება და მწვავედება თანამედროვე პირობებში. ამ პროცესებს ეწოდება „ადამიანური ან პირადული ურთიერთობანი (კავშირები)“, ხოლო ურთიერთობას ხალხებსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის ეწოდება „ხალხთაშორისი ან საერთაშორისო დამოკიდებულება (კავშირები)“. დამოკიდებულებას და ურთიერთმოქმედებას, ცალკეულ ორგანიზაციებსა და მის ირგვლივ საზოგადოების ჯგუფებს შორის, შეისწავლის საზოგადოებასთან კავშირის თეორია და პრაქტიკა, რომელსაც ეწოდება ფაბლიქ რილეიშენი (PR).

საზოგადოებასთან კეთილგანწყობის კონტაქტები მეცნიერება და ხელოვნებაა. ფაბლიქ რილეიშენში განსაკუთრებით აუცილებელია საზოგადოების დემოკრატიზაციის პირობებში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოების საერთაშორისო არენაზე გამოსვლისათვის.

ფაბლიქ რილეიშენი (PR) მენეჯმენტის სტრატეგიის შემადგენელი ხაწილია და ასრულებს ორმაგ ფუნქციას: ერთი მხრივ, ეს არის რეაგირება იმ მოქმედებაზე, კამათზე, შეხედულებაზე, რომელიც მოქმედებს ორგანიზაციის ფუნქციონირებასა და განვითარებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, – ხალხის მოქმედების მოტივაციაა.

ფაბლიქ რილეიშენის სტრატეგიის შემუშავება ემორჩილება ორგანიზაციის ინტერესების ჰარმონიზაციას იმ საზოგადოების ინტერესებთან, ეიბეუ არის დამოკიდებული ორგანიზაციის წარმატება, განვითარება. ამისათვის აუცილებელია განხორციელდეს შემუშავებუ-

ლი სტრატეგია, დამყარდეს კომუნიკაციური პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს დამოკიდებულებას და ხელის შეწყობას, ურთიერთნდობას ორგანიზაციასა და მრავალრიცხოვანი საზოგადოების ჯგუფებს შორის.

ფაბლიქ რილეიშენში მთელ რიგ მართვის ქვესისტემების (მარკეტინგი, ფინანსური მენეჯმენტი, ადამიანთა რესურსების მენეჯმენტი, ინფორმაციული სისტემის მენეჯმენტი) მაღალ დონეზე ორგანიზაციისა და მართვის საშუალებას იძლევა. საქმიანი წრეებისათვის ყველა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ ინფორმირება და მათი გავრცელება კიბერნეტიკულ სიერყვეში განსაზღვრავს ფაბლიქ რილეიშენის მნიშვნელობის მომავალ ზრდას ორგანიზაციებისა და კომპანიების მართვაში.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ზრდის დინამიკა, გლობალური ტელეკომუნიკაციები განსაზღვრავენ PR-ის კრიტიკულ მნიშვნელობას. სოციალურ-ეკონომიკური სისტემების (კომპანიები, სახელმწიფო და წამგებიანი ორგანიზაციები, მსოფლიოს ქვეყნები და რეგიონები, საერთაშორისო კავშირები და გაერთიანებები) მართვის საქმეში.

ფაბლიქ რილეიშენში ასრულებს მენეჯმენტის დამოუკიდებელ ფუნქციას ორგანიზაციასა და მის საზოგადოებას შორის კომუნიკაციის აღსადგენად და მხარდასაჭერად. ინგლისელი და გერმანელი ავტორები (Wrodd D.W., Ronnerberg F.) ფაბლიქ რილეიშენს საზღვრავენ როგორც მენეჯერის ფუნქციას, რომელიც მოქმედებს პიროვნებაზე ან ორგანიზაციაზე, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, და ახდენს მოქმედების პროგრამის ისეთ რეაღმებებს, რომელიც გასაგები და მისაღები იქნება საზოგადოების ფართო მისთვისათვის.

ფაბლიქ რილეიშენს (PR-ს) უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი, რომელიც შეიძლება შეგვხედეს ნებისმიერ ფირმაში.

...ქალმა (ეთქვან პირობითად), რომელიც მის კომპიუტერთან, დაამთავრა ახალი ამბების ბიულეტენის დიზაინი თავისი კლიენტისათვის და სანამ ეს ბიულეტენი იბეჭდება პრინტერზე, მან გადაწყვიტა გადაეთივალერებინა ეკრანზე სხვა კლიენტისთვის ადრე დამზადებული რეკლამა, ცნობილ ქურნალში დასაბუჭდა. ამ მომენტში ძველი რეკლამის სათაურმა გაასხენა, რომ უნდა დაერეკა მსატვარ-

გრაფიკოსთან, რომელიც მესამე კლიენტისათვის ამზადებდა მხატვრულ გაფორმებას კომპანიის ახალი სახელისათვის.

სწორედ ამ ქალმა უნდა შეცვალოს მთელი დღის მუშაობის განრიგი, რათა დაუკავშირდეს ფოტოგრაფს, რომელიც ამზადებს ფირმისთვის ახალ ბროშურებს, პრესისთვის და პრემენტაციისათვის საქაღალდეებს, საეიბიტო ბარათებს და საფირმო ბლანკებს. ეინა-იდან ამ ქალბატონს ძალიან ბევრი სამუშაო დაუგროვდა, დახმარებისთვის მიმართა სპეციალისტს (ფაბლისიტს), რომელიც პერიოდულად თანამშრომლობდა ამ ფირმასთან.

კლიენტიც, რომელსაც ფირმა რეორგანიზაციის სტადიაში დახვდა, დათანხმდა შეასრულოს ანალიზური სამუშაო: შეისწავლოს კომპანიის თანამშრომელთა, კლიენტთა და მიმწოდებელთა აზრი იმის შესახებ, თუ რეორგანიზაციის პერიოდში კომპანიას როგორი იმიჯი უნდა ჰქონდეს. აქ საჭიროა ცალკეულმა თანამშრომელმა აუხსნას საზოგადოებას, თუ რა ხდება ორგანიზაციაში, გაიგოს ამ ფირმის შესახებ. საზოგადოების აზრის გასაგებად ქალი სოციალური გამოკითხვის სამსახურს მიმართავს.

შედეგებს თავისი რეკომენდაციების დამატებით მოახსენებს დირექტორსა და საბჭოს. პარალელურად პორტატულ კომპიუტერში შეყავს ახალი პროგრამა, რათა დაეუფლოს მას და მოახდინოს მისი ილუსტრირება საბჭოს სხდომაზე.

მუშაობის მომენტში, ოფისში მოვიდა ფაქსი სინგაპურის სააგენტოდან. ამ სააგენტოს კლიენტი მივლინებია მიდის ამერკის შეერთებულ შტატებში და დახმარებას სთხოვს ამ ფირმას, გაუწიოს კონსულტაცია რიგი საკითხების გადაწყვეტაში. ფაქსი მთავრდებოდა თხოვნით, თუ იყო ფირმა მზად სინგაპურის ჯგუფთან თანამშრომლობისათვის. ქალი სიამოვნებით შეხვდა სინგაპურიდან მიღებულ ფაქსს, რადგან წყნარი ოკეანის პარტნიორობიდან გრძნობს აქტიურ დამოკიდებულებას საქმიან ურთიერთობაში.

ქალს ასევე იმედი აქვს ევროპელი – გერმანელი პარტნიორებისა, რომლებთანაც აშშ-ის უნივერსიტეტში ერთად სწავლობდა. მისი ამხანაგი მუშაობს გერმანიის უდიდეს ფირმაში. მას კონტაქტები აქვს მექსიკაში, რომელიც დაამყარა PR საერთაშორისო კონფერენციის დროს. გარდა ამისა, აქვს სამუშაო დაამყაროს ახალი კონტაქტები კანადაში.

ყოველ დღით, როცა ქალი მიდის ოფისში, ამჩნევს რომ ღამე ფაქსი დაძაბულად მუშაობდა, იღებდა სხვადასხვა საინფორმაციო

შეტყობინებებს პროფესიონალური ასოციაციებისაგან მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებიდან...

ამრიგად, ქალი, რომელზედაც ვილაპარაკეთ, არის ფაბლიქ რილეიშენის სპეციალისტი და დღეს ამ სპეციალობამ გლობალური გავრცელება ჰპოვა.

აქ მოყვანილი მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ თავისი შინაარსით ფაბლიქ რილეიშენი მენეჯმენტის სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია და ასრულებს ორმაგ ფუნქციას: ერთი მხრივ, ეს არის რეაგირება ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე და განვითარებაზე, მეორე მხრივ, – ამ ხალხის მოქმედების მოტივაცია.

ფაბლიქ რილეიშენის სტრატეგიის დამუშავება უპირველესად ემორჩილება მთავარ მიზანს – ორგანიზაციის ინტერესების ჰარმონიზაცია იმათ ინტერესებთან, ვისგანაც დამოკიდებულია მისი განვითარება.

ამისათვის საჭიროა შემუშავებული სტრატეგიის განხორციელება ცხოვრებაში, რაც ითვალისწინებს ორგანიზაციასა და საზოგადოების მრავალრიცხოვან ჯგუფებს შორის კომუნიკაციების დამყარებას.

განვიხილოთ სხვა სიტუაციები.

დაუშვათ, ბიზნესმენი მოელაპარაკა სერიოზულ პარტნიორს მომყვებიანი საქმის შესახებ. თითქოს ყველაფერი გედმიწევნით იყო მომზადებული. პარტნიორს ინტერესი დაეკარგა, ხელშეკრულება აღარ გაფორმდა, რის გამოც ბიზნესმენი დაზარალდა. რაშია საქმე? რატომ ჭარბეულაბს პარტნიორი? სხვა ადგილას ჰქონდა მას მომგებიანი საქმე? ადვილი შესაძლებელია, რომ მიზეზი ამისა თვითონ ბიზნესმენია.

განვიხილოთ ერთი მაგალითი. რამდენიმე წელია პოლიტიკაში სარია და ახლა კენჭს იყრიტ დემუტატად. თქვენი მეტოქეები არიან ნაკლებად ცნობილი პოლიტიკური პარტიებიდან ახალბედები, რომლებიც ბევრად ნაკლები არიან თქვენზე. თუმცა არჩევნებში სწორედ ახალბედები იმარჯვებენ, რადგან არჩევნები ლატარეაა.

კიდევ ერთი მაგალითი უკრაინის ისტორიიდან. 1991 წელს უკრაინა გახდა დამოუკიდებელი, ბირთვული იარაღის არმქონე სახელმწიფო. მაგრამ მაღე მიიღო მთელ რიგ ნაციონალურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სტრატეგიული გადაწყვეტილებანი, უკრაინის სამთავრობო წრეები მოხვდნენ საერთაშორისო მოელე-

ნების და შიგა ძალების მოთხოვნების ზეგავლენის ქვეშ და ეჭვის ქვეშ დააყენეს თავიანთი განცხადება. ეჭვისათვის მართლაც ჰქონდათ სერიოზული განცხადებები. უკრაინა ეს არის სახელმწიფო განვითარებადი ბირთვული ტექნოლოგიით, მის ტერიტორიაზე განლაგებულია მრავალრიცხოვანი ბირთვული არსენალი, რითაც ატომ-მატურად შედის მსოფლიოს მძლავრი ბირთვული ქვეყნების რიცხვში. მაგრამ ასეთმა შეხედულებამ ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში უცხრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია დასავლეთში და უკრაინას თელიდნენ გაუთვალისწინებელ სახელმწიფოდ. ახლად ჩამოყალიბებული უკრაინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს იმიჯი თანდათანობით უსიამოვნო ელფერს იძენდა, რითაც გულგრილი არ იყო ხელმძღვანელი წრეები.

პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში შეცდომების, წარუმატებლობის და ჩაფარდების მრავალი მაგალითია. მაგრამ ყველას აქვს რაღაც საერთო. უპირველესად, ეს არის სუსტი კავშირები საზოგადოებასთან, განსაკუთრებით ცალკეულ ჯგუფებთან, არასაკმარისი ყურადღება მოსახლეობის რეალური განწყობის მიმართ, ხალხის მომზადების არცოდნა სასურველი მმართველობის შეგრძნების უცოდინარობა.

განხილული მაგალითების ანალიზის შედეგად, აღსანიშნავია შემდეგი: პირველ შემთხვევაში უხეში შეცდომა იყო დაშვებული იმის გამო, რომ ბიზნესმენი თავის თავზე უფრო მეტს ლაპარაკობდა, ვიდრე პარტნიორის მოგებაზე. ნებისმიერ საქმიან მოლაპარაკებებში დაუშვებელია მხოლოდ საკუთარ თავზე ლაპარაკი და აქცენტირება საკუთარი მოგებისა. აუცილებელია პარტნიორის დარწმუნება იმაში, თუ კონტრაქტი რა დიდ მოგებას მოუტანს მას. პრაქტიკა ამტკიცებს, რომ მხოლოდ ასეთი მეთოდი იძლევა წარმატებას კომერციულ საქმიანობაში.

მეორე შემთხვევაში, როგორც პოლიტიკოსმა, ცუდი ორგანიზაცია გაუკეთა წინასწარჩვენო კამპანიას – ალბათ, გადაჭარბებული თავდაჯერებულობა გამოიჩინა ძველი დამსახურების გამო და ხალხის განწყობისლება, მოსახლეობის მრავალრიცხოვანი ჯგუფების კრიტიკული დამოკიდებულება ძველი წესების მიმართ ყურადღების მიღმა დარჩა. ამომრჩევლებისათვის ნაკლებად მიმზიდველი თემები და თემისეები წინასწარჩვენო პლატფორმაზე შესაძლებელია წამგე-

ბიანი იყოს. ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგეები უფრო გონიერ-ლები აღმოჩნდნენ: თავიანთი კანდიდატების სუსტი მხარეები მიჩ-მალეს, სამაგიეროდ, ამომრჩევლებს ოქროს მთებს დაჰპირდნენ. არ მოერიდნენ მეტოქეების წარსულის დისკრედიტირებას, მოწინააღმდეგეები ასეთ დროს „კარიდან კარამდე“ უფრო მეტს მუშაობენ მოსახლეობის ფენებში, რადგან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების იმედი არა აქვთ.

აქ შეიძლება მაგალითი მოვიყვანოთ საქართველოში 2002 წლის 2 ივნისის ადგილობრივი არჩევნების ჩატარების ორგანიზაციის შესახებ. ზოგიერთმა დემუტატობის კანდიდატმა, არასწორი მეთოდით, წინასწარჩვენო კამპანიისათვის სასურველ შედეგს ეერ მიაღწია.

რაც შეეხება უკრაინის ტერიტორიაზე ბირთვული იარაღის არსებობას და ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს „გაუთვალისწინებელ“ მოქმედებას, აქ გამოუყველობის გამო ბრალი ედება ხალხთაშორის (საერთაშორისო) პოლიტიკის დაწერილი თუ დაუწერილი „თამაშის წესების“ განხორციელებაში, ბირთვულ ეპოქაში. გარდა ამისა, არაპროფესიონალურად ტარდებოდა ახსნა-განმარტებითი საშუალები საერთაშორისო დონეზე, განსაკუთრებით მსოფლიოს ქვეყნების პოლიტიკურ წრეებში. ბოლომდე არ იყო გათვითცნობიერებული ბირთვულ დილაკებზე „ითიების“ რაოდენობის გაზრდა. ბირთვული იარაღის მოქმედება ეს კაცობრიობის მომავლის საქმეა. ამიტომ „ბირთვული კლუბის“ წევრობა ბევრ ხალხში იწვევს უარყოფით რეაქციას. უკრაინის პოლიტიკური წრეების განცხადება ბირთვული იარაღის გატანის თაობაზე თავიანთი ტერიტორიიდან, დასავლეთში უდავოდ შეფასდებოდა როგორც მსოფლიო საზოგადოების გამოწვევა.

ამიტომ უკრაინა რაღაც პერიოდში აღმოჩნდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციაში და მისმა მისწრაფებამ პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ფასი დაკარგა მსოფლიოს ქვეყნებს შორის, მათ შორის აშშ-ში.

ამავე დროს, უკრაინის არათანმიმდევრობა იმაში მდგომარეობდა, რომ ბირთვული იარაღის შენახვა, პრაქტიკულად, მოკლებული იყო მატერიალურ საფუძველს. კერძოდ, ამ იარაღის მზადყოფნა, პერიოდულად მისი მოდერნიზაცია, ცალკეული კომპლექტების რთული და სამიში ტექნიკის განახლება, თხოულობს უდიდეს მატერიალურ ხარჯებს, რაც უკრაინას არ გააჩნია.

ამიტომ საჭირო გახდა კომპრომისული გადაწყვეტილების მიღება. ეს იყო გონებისა და ჯანსაღი აზრის გამარჯვება. გაიმართა სამმხრივი მოლაპარაკება უკრაინას, რუსეთსა და აშშ-ს შორის ბირთვული იარაღის გატანის თაობაზე უკრაინის ტერიტორიდან, კონტინენტთაშორისო რაკეტებისა და ა.შ. შედეგად უკრაინა გამოვიდა პოლიტიკური ჩიხიდან და შეიცვალა ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს იმიჯი.

გარკვეული დროის შემდეგ, უკრაინა გახდა ევროპის საბჭოსა და OBCE წევრი, განამტკიცა მისი პოზიციები საერთაშორისო საეკონომიკურ ფონდში, მსოფლიო ბანკსა და ევროპული ბანკის რეკონსტრუქციისა და განვითარების საქმეში. იგი გახდა „პარტნიორი მშვიდობისათვის“ პროგრამის მონაწილე ნატო-ს მეგობარი ქვეყანა.

ყველა ზემოთ მოყვანილ სიტუაციაში წარმატება და მარცხი დამოკიდებულია ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტისაგან, პოლიტიკური და ეკონომიკური მმართველობისაგან, როგორც არის კეთილგანწყობილების დამოკიდებულება პარტნიორებთან, ანუ ფაბლიქ რილეიშენზის სისტემის მოთხოვნების შესრულება. ფაბლიქ რილეიშენზი ფასავლეთში წარმოადგენს ნებისმიერი სისტემის მმართველობის მნიშვნელოვან ნაწილს, დაკავშირებულს საზოგადოებასთან, ხალხთან. ფაბლიქ რილეიშენზის არსებობას აზრი აქვს დემოკრატიული საზოგადოების პირობებში. ტოტალიტარული სისტემა, რომელიც თვალშიაქკურად გამოდის ხალხის სახელით, ფაქტობრივად იგნორირებას უკეთებს მას. ცალკეული ადამიანების და მოსახლეობის უენების რეალური მოთხოვნები, აზრები და ხასიათები, მიუხედავად მუდმივი იდეოლოგიური შელოცვისა, სინამდვილეში ითვლებოდა მეორეხარისხოვან საქმედ. მმართველობის მთავარ საშუალებას საზოგადოების ყველა სფეროში წარმოადგენდა ბრძანებები და დასჯა. მოსახლეობის ვალი იყო სიტყვაშეუბრუნებლად დამორჩილებოდა „ბრძნულ ბრძანებებს“ ზემოდან. ყოველ ვწინააღმდეგებოდა აშას, ისჯებოდა ძალიან მკაცრად, რათა სხვებისთვის ყოფილიყო მაგალითი. სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგად გამოვლინდა ხელმძღვანელობისათვის არასელსაყრელი საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც იგნორირებას უწევდნენ და ახშობდნენ. სოციოლოგებიც ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ასეთია ფაბლიქ რილეიშენზის მნიშვნელობა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

2. შახლიმ რილეიშენ PR-ის განვიითარების წყაროები და ისტორია

2.1. PR-ის განვიითარების ეტაპები

ძნელია იმის თქმა, თუ როლის ან სად ჩაისახა ფაბლიქ რილეიშენის ხელოვნება, ან ვინ იყო მისი დამაარსებელი. ფაბლიქ რილეიშენში არა მარტო ხალხის, საზოგადოების დარწმუნება, არამედ მათ საქციელზე ზემოქმედებაც არის. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებასთან კავშირი ისევე უძველესია, როგორც თვით ცივილიზაცია. ადამიანმა რომ იცხოვროს საზოგადოებაში, აუცილებელია გარკვეული მინიმალური შეთანხმების მიღწევა პიროვნებათა და ხალხთა ჯგუფებს შორის კომუნიკაციების საშუალებით. როგორც ცნობილია, შეთანხმების მიღწევისათვის საჭიროა არა მარტო ინფორმაციების გაცემა, არამედ ცოდნა დარწმუნებისა და ზეგაულებისათვის. დღეს დარწმუნების ფაქტორი რჩება ფაბლიქ რილეიშენის მოძრავ ძალად. თანამედროვე პრაქტიკაში სხვების დარწმუნებისთვის ხშირად იყენებენ იმ ტაქტიკას, რომელსაც ათასი წლით სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები მიმართავდნენ. ქვემოთ მოყვანილია კომუნიკაციების საშუალებით დარწმუნების სხვადასხვა ისტორიული მაგალითები: 1. ანტიკური რიტორიკა. 2. რელიგიური კომუნიკაციები. 3. სასამართლო სიტყვა. 4. საპარლამენტო სიტყვა. 5. მასობრივი კომუნიკაციები. 6. ლიტერატურული კომუნიკაცია. 7. სარეკლამო კომუნიკაცია. 8. პირადად PR.

უძველესი მსოფლიოს მონუმენტური ხელოვნების ძეგლები წარმოადგენენ საზოგადოებაზე ზეგაულების მოხდენის პირველ მცდელობას იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებენ ხალხზე პირამიდები, სტატუები, ტაძრები, აკლამები, ფერწერა და დამწერლობის უძველესი ძეგლები. ყველა ეს მაგალითი მიმართული იყო მმართველთა უკვდავებისა და გაღმერთებისაკენ, ასევე, უძველესი ხელოვნება და ლიტერატურა აღიდაბდა მსუღაროთმთავრებს და ბელადებს, საზოგადოებას აცნობენ როგორც ღმერთებს ან ღმერთის ნაირებს. ბელადები თავიანთი გამოსვლებში ხშირად მიმართავდნენ რიტორიკას (ორატორული ხელოვნება) როგორც დარწმუნების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას.

ჯერ კიდევ უძველესი დროიდან განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ ის პიროვნებები, რომელთაც სოციალური მარ-

თვის სფეროში თავისი კომუნიკაბელურობით შეედლოთ მოგვარებინათ პრობლემური საკითხები.

სასამართლო პროცესებზე ორატორული ხელოვნება, პიროვნების მჭევრმეტყველება, ხშირად ემსახურებოდა ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას. პრაქტიკულად, ნებისმიერი პროფესიისათვის ძირითადი მოთხოვნის შემადგენელი ნაწილი იყო ადამიანის კომუნიკაციური უნარის გამოვლინება. ამ მხრივ მაღალი კლასის პროფესიონალებად წარმოჩნდნენ ბერძენი დემოსვეი და რომაელი ციკერონი.

ანტიკურობის გამოჩენილი წარმომადგენელი, უძველესი რომის სახელმწიფოს პოლიტიკური მოღვაწე, ბრწყინვალე ორატორი ციკერონი (106-43 წ.წ. ჩ.წ. აღ-მდე), თავის შრომებში რიტორიკის შესახებ, განსაკუთრებით მნიშვნელობას ანიჭებდა ფსიქოლოგიას, მსმენელთა ინტერესებს და გემოვნებას მისი აზრით, ორატორის ამოცანაა ესთეტიკურად გაართოს მსმენელი, ზეგაულება მოახდინოს ხალხის მოქცევაზე და ნებისყოფაზე, რათა ჩართოს ისინი აქტიურ მუშაობაში.

უკვე ძველ საბერძნეთში, საზოგადო მოაზროვნეები ბევრს წერდნენ მსმენელთა ყურადღების შესახებ და, საერთოდ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საზოგადოებრივ აზრს. ასევე, ციკერონის მჭევრმეტყველების შესახებ პლუტარქეს მოჰყავს ასეთი მაგალითი: თეატრში წესად იყო მიღებული, რომ წესრიგის დამცველი მხედრები მაყურებლებთან ერთად ესწრებოდნენ წარმოდგენას და თეატრს ადევნებდნენ დარბაზში წესრიგს. ერთ-ერთ სახელმწიფო მოღვაწეს მარკ ოტონს მოუვიდა აზრად, რომ პატივი ეცა მხედრებისათვის, გამოეყო ისინი მასიდან და მიეჩინა მათთვის საპატიო ადგილები. ამან ხალხი სასტიკად გაანაწყენა. ტრიბუნანზე გამოსულ ოტონს ხალხი სტვენით შეხვდა, მხედრები კი - მხურვალე ტამით. საზოგადოების ორად დაყოფამ გამოიწვია დარბაზში არეულობა. ამის შესახებ შეატყობინეს ციკერონს. იგი მივიდა თეატრში და ხალხს სისოვა, წამოსულსეკნენ ბელონის ტაძარში. მან ხალხი თავისი მჭევრმეტყველური გამოსვლით დაარწმუნა ოტონის მოქმედების სისწორეში, რის შემდეგაც ხალხი დაუბრუნდა თეატრს და ოტონისადმი პატივისცემას გამოხატავდა მხურვალე თეატრებით. არა მარტო პროფესიონალების ორატორული ხელოვნება წარმოადგენს დაკვირვების განსაკუთრებულ ინტერესს, არამედ,

სინამდვილეში, მოქმედების ყველა ის ტიპი არის ნიშანდობლივი, რომელიც გავლენას მოახდენს აუდიტორიაზე.

ანტიკური პერიოდის გამოჩენილ მოაზროვნეს არისტოტელეს (384-322 წ.წ. ჩვ.წ.აღ.) მიაჩნია, რომ აუდიტორიის დარწმუნება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მიღწეულია კეთილგანწყობა ან სიმპათია ორატორის მიმართ. ცნობილ ტრაქტატში „რიტორიკა“ – (ორატორული ხელოვნების პირველი სამეცნიერო შრომა) შემოტანილია სიტყვა *ეთოსი*, რომელიც ნიშნავს საზოგადოების, მსმენლის დამოკიდებულებას ორატორის მიმართ, როგორც მისი გამოსვლის წარმატების წინაპირობა.

უკვე ძველი საბერძნეთის მოაზროვნეები ბევრს წერდნენ საზოგადოების სურვილებზე და საზოგადოებრივ აზრზე, თუმცა ეს ტერმინი არ გამოიყენებოდა. მთელი რიგი იდეები და დასკვნები აგებული იყო საზოგადოებრივი აზრების, მათი შეხედულებების შედგენაში მიღებით. *ძველი რომის პოლიტიკურ ლექსიკაში* შეიმჩნევა საზოგადოებრივი აზრის განმარტების მცდელობა. სწორედ რომაელებს მიეკუთვნებათ გამოთქმა „vox populi – vox dei“ (ხმა ხალხისა – ხმა ღვთაისა).

როგორც ისტორიული ანალიზი მოწმობს, ფაბლიქ რილეიშენმა PR-მა გეგავლენის, დარწმუნების სხვადასხვა სახის ტექნიკა და ტექნოლოგია გამოიყენა, რომლის ეფექტიანობა დამტკიცდა მრავალი საუკუნის განმავლობაში. რიტორიკის გარდა, იყენებდნენ სიმბოლიკას, როგორც ლომუნგის სახეს (სიმბოლიკაზე საუბარი მოგვიანებით იხილეთ ქვემოთ). ჯერ კიდევ IV-III საუკუნეებში ჩვენს წ.აღ.-მდე ფართოდ გამოიყენებოდა გავლენის სახე, როგორც არის სკულპტურა, მონეტები.

კაკობრიობის ისტორია მოწმობს, რომ საზოგადოებაზე გავლენის ინსტრუმენტს იყენებდნენ ომის მზადებისათვის, პოლიტიკური წრეების ლობირებისას, რელიგიური რწმუნის გასაფრცხვლებლად, საქონლის გასაყიდად ბაზრებზე, სახსრების მოგროვებისას სხვადასხვა მოვლენების და ხალხის პოპულარიზაციისათვის. *ამიტომ ბერი რამ, რასაც თანამედროვე საზოგადოება ფაბლიქ რილეიშენის სფეროში სარგებლობს, არ არის ახალი.* პიერმენედი ამჟამად ხეუწენ თავიანთ ოსტატობას ისტორიული გამოცდილების საფუძველზე.

ძველ საბერძნეთში ყველაზე მეტად ფასდებოდა ურთიერთობის უნარი, თანამოსაუბრის დარწმუნება, კამათში მონაწილეობა საუკეთესო ორატორები, ყველაზე შესაძლო კანდიდატები იყვნენ ლი-

დერებში, უფრო მეტი აღიარებისათვის საბერძნეთის პოლიტიკური მოღვაწეები მიმართავდნენ *სოფისტებს (საპეიალისტები, რომლებიც ასწავლიან სიბრძნეს და მკვირმეტყველებას)* სიტყვიერების ბატალიებში ვასარკევედა. სოფისტები ხშირად იკრიბებოდნენ საზოგადოების წინაშე გარკვეულ დღეებში, სადაც ამა თუ იმ კანდიდატების იუ პოლიტიკური მოღვაწეების ღირსების განდიდება ეწეოდნენ. სოფისტების ღროიდან, ზეგავლენის პრაქტიკა დაკავშირებული იყო დებატების ჩატარებისას და ყოველთვის დაცული იყო ურთიერთობის ეთიკა. უფრო ზუსტად, ეს იყო პირველი მცდელობა, რასაც ეხახიან ლობირებას – ზემოქმედება კანონმდებლობაზე კომუნიკაციური ეფექტური მეთოდების და ლოგიკური მსჯელობის გამოყენებით.

საქარო დიალოგის ხელოვნება სიტყვიერ ფორმაში დაკავშირებულია ძველი ბერძენი ფილოსოფოსისა და გამზრდელის სახელთან, *სოკრატესთან*. სწორედ მან და მისმა მოწაფეებმა შეიმუშავეს განსაზღვრული საგნის მსჯელობისა და დიალოგების ფორმების კომპლექსური ეფექტური საფუძველი, რომელიც დემოკრატიული დიალოგის საფუძველია. აქ აღსანიშნავია თითოეული პარტნიორის უნიკალურობის გათვალისწინება; ერთმანეთის წინაშე პრინციპული თანაბრობა; შესაძლო შეუთანხმებლობა და მსოფლმხედველობის ორიგინალობა; თითოეული მხარის ორიენტაცია ურთიერთგაგებაზე და საკუთარი აზრის აქტიური ინტერპრეტაცია ერთმანეთის წინაშე; დიალოგის მონაწილეთა პოზიციების ურთიერთგამდიდრება. *ყურადღების ღირსია ძველ მსოფლმხედველთა შეხედულება, თანაბარუფლებიანი თავისებური დიალოგის სოციალური მმართველობა* მაკალითად, *არისტოტელე და პლატონი* თვლიან, რომ ხალხის მართვის საშუალება უნდა იყოს არა მარტო ღროული, არამედ ყველასთვის ფართოდ ცნობილი რამ, როგორც იმართვის, ვინც მართავს. ასევე იმართვის, ვინც მართვადია. შოშავალში ეს პრინციპები გამოიყენება თანამედროვე ფაბლიქ რილეიშენის PR პრაქტიკაში.

ხალხზე გეგავლენის ტექნიკის გამოჩენილი ოსტატი იყო *იულიუს ცეზარი*. ყოველთვის, საბრძოლო ომების წინ, ის აღწევდა ხალხის მხარდაჭერას სპეციალური სოციალური მიმართულებისა და თეატრალიზებული წარმოდგენების საშუალებით. პირველი მსოფლიო ომის დროს ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივი ინფორმაციის კომიტეტმა მიმართა იულიუს ცეზარის გამოც-

დილებას, ამერიკელებში გაეღვიძებინა პატრიოტიზმი, რათა აშშ-ის პრეზიდენტის, პოლიტიკოს ვილსონის მხარდაჭერა მიეღო. XX საუკუნეში ფსიქოლოგიური ომი გამოიყენებოდა ისევე, როგორც ძველი რომის პერიოდში.

ფსიქოლოგიური ომების ელემენტებს სხვა ისტორიულ დროსაც ვხვდებით. 1095 წელს პაპ ურბან II-ს დიდი ძალისხმევა დასჭირდა მუსულმანური ხალიფატის ომის მომზადებისათვის. მან გააფრეცლა მიმართვა საინფორმაციო ქსელით – კარდინალების, არქიეპისკოპოსების, ეპისკოპოსების და მღვდლების საშუალებით. ამ საეკლესიო ომში გამოცხადებული იყო ღმერთისადმი სამსახური. რომის პაპი ქრისტიანებს აძლევდა ცხოვრებაში ერთადერთ შანსს წმინდა ადგილების მოსაზნახულებლად. ასევე, ყველას აძლევდა პირობას, რომ მიიღებდა მონაწილეობას ჯვაროსნულ ლაშქრობაში არა მარტო ცოდვების მოსაზნახივლად, არამედ მდიდარი აღმოსავლეთის „რწმენის მტრების“ წინააღმდეგ. ის აღნიშნავდა: „მცხოვრები ვარაშში და სიღუბნურში, იქ იქნება ბედნიერებაში და სიმდიდრეში“, ფსიქოლოგიური ზემოქმედების ხერხის გამოყენება თანამედროვე პიერმეჩის თვის შეუმჩნეველი არ ღარჩა.

უფრო მოგვიანებით, 1622 წელს, ვატკანის რეფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, პაპი გრიგორი XV-ის ხელმძღვანელობით, შეიქმნა სპეციალური კონგრეგაცია, რომლის დანიშნულება იყო „რწმენის შენარჩუნებისათვის დახმარება“ და ეკლესიის შენარჩუნება – „კონგრეგაცია რწმენის პროპაგანდისათვის“. *ვატკანს ახლაც აქვს თავის განკარგულებაში ძლიერი აპარატი საზოგადოებასთან კავშირის შესახებ. ამ უწყების ხელმძღვანელს აქვს ვატიკანის უმაღლესი რაზვის წოდება – არქიეპისკოპოსი*

ჩვენს ცხოვრებაში არსებობს სამყაროს შემეცნების სამი ტიპი: *რეალური, სიმბოლური და ინფორმაციული*. რეალურ სამყაროში არსებობს მილიონობით შემთხვევა, რომელთა მხოლოდ ნაწილი იბეჭდება და პოეზებს ინფორმაციულ გაურკვევლებას. ნაწილი კი აღმოჩნდება ჩვენთვის გაუთვითცნობიერებელ სამყაროში – სიმბოლურ სამყაროში. ორ სამყაროს შორის არსებობს ბარიერი. სიმბოლური შემთხვევა რომ დაიბეჭდოს, აუცილებელია იგი შეიცავდეს რაიმე სიახლეს. რომ შევალწიოთ სიმბოლურ სამყაროში, აუცილებელია სინამდვილის წარმატებულად სიმბოლირება.

სიმბოლიკები მოხერხებულია მასობრივი ურთიერთობისას, შინაარსის თვალსაზრისით იგი ეკონომიკურია, რადგან მასში შერ-

წყებულია ინფორმაციის დიდი რაოდენობა. ფორმის თვალსაზრისით სიმბოლო იძლევა გამეორების საშუალებას.

სიმბოლიკების საშუალებით შესაძლებელია მთლიანობაში წარმოედგინოთ ესა თუ ის ობიექტი. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ თავისუფლების ქანდაკება ნიუ-იორკში, ბაბუა სემი, ვირი და სპილო, როგორც დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიის სიმბოლიკები და სხვა. ამ სიმბოლიკების შემეცნებისათვის საჭირო იქნებოდა დიდი მოცულობის ტექსტების დაწერა მისი შინაარსის გასათვითცნობიერებლად. სიმბოლოები ძლიერ მოქმედებენ ჩვენს ყოფაქცევაზე. მაგალითად, სადილობის პროცესს ჩვენ შევივრძნობთ როგორც რეალურ მოვლენას, როცა უძველეს რომში სადილობის პროცესი განსაკუთრებული სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელი იყო და იგი ატარებდა პომპეზურ ხასიათს. განმარტობულად სადილობა ითვლებოდა უბედურების მომასწავებლად. პლუტარქე ცეზარის შესახებ აღნიშნავდა, რომ მისი სადილები და წვეულებები, ცხოვრების ბრწყინვალე წესი, განაპირობებდა სახელმწიფოში მისი გაყვანის თანმიმდევრობით ზრდას. თავდაპირველად, მისი ქვეშევრდოში ამას არსებითი მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, ისინი თვლიდნენ, რომ ეს იყო დროებითი მოვლენა, მაგრამ როცა დარწმუნდნენ თუ რა დიდ როლს ასრულებდა ასეთი სადილები და წვეულებები სახელმწიფოს იმიჯზე, მხარს უჭერდნენ მათი გავრცელებას მაღალი ფენის საზოგადოებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოშიც უმეტესი საკითხების მომზადება და დადებითად გადაჭრა სადილობის პროცესში ხდება. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი ნაღიმების დროს ხდება ურთიერთსაწინააღმდეგო აზრის მქონე პირების დაახლოება და საზოგადოებისა და ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეების გადაჭრა. სუყრასთან სახელგანთქალობის თანმიმდევრობა საპატივცემულო სტუმრების ტიტულების მიხედვით ხდება.

PR, ანუ სტრატეგიული კომუნიკაცია, წყვეტს არა მარტო გლობალურ ამოცანებს, არამედ ასევე ეხმარება ურთიერთსაწინააღმდეგო ამოცანების ლიკვიდაციაში. რათა ყველა პრობლემა გადაწყდეს კომუნიკაციურ დონეზე. ასეთი ლოკალური პრობლემების მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგური. ჩერნობილის წარსულის სიმბოლიკა ხელს უშლის ამჟამად უკრაინის ატომურ სადგურს ნორმალურ ფუნქციონირებაში. ასეთივე პრობლემები შეიძლება შეექმნას კონკრეტულ ფორმას, თუ იგი არ გაითვალისწინებს იმ ფაბრიკის მომსახურე პერსონალის

აბრს, რომლის შექმნაც მას აქვს განზრახული. საზოგადოების ამ რის გათვალისწინება დიდ გავლენას ახდენს პიროვნების იმიჯზე. მაგალითად, შეგვიძლია გავიხსენოთ, თუ როგორი აღმშოთიება გამოიწვია აეროპორტში რეისების დაგვიანებამ, იმის გამო, რომ პრებიდენტმა კლინტონმა აეროპორტში მონიღომა თმის შეჭრა. ამან საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია. თუ გავიხსენებთ ჰელმუტ კოლის ჩამოსვლას ქ. მოსკოეში, გამარჯვების დღის აღსანიშნავად, დაერწმუნდებით თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების აბრის მხედველობაში მიღებას. მან ვერ შეძლო სამხედრო აღლუმზე დასწრება იმის გამო, რომ საზოგადოება გაღიზიანებული იყო იმ პერიოდში ჩვენეთში არსებული საომარი მოქმედების გამო. დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი აბრის წარმართვას სახელმწიფო პოლიტიკის სასარგებლოდ, რასაც შეუცვლელ დახმარებას უწევს ფაბლიქ რილეიშენში.

აღამიანთა დარწმუნების სისტემა - ეს პირველ რიგში არის ფსიქოლოგიური ბემოქმედების სისტემა, რომელიც არსებობს ვერბალურ და არავერბალურ დონეზე. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ამ საკითხის შესახებ არსებობდა პროფესიული მიდგომა. ციკერონი აღნიშნავდა, რომ საუბრის წარმართვა უნდა ხდებოდეს მშვიდი და მტკიცე ტონით, იგი სასიამოვნო უნდა იყოს მოსასმენად, საუბრისას წინ უნდა წამოეწიოთ ის სიმართლე, რომელიც საზოგადოებას თვითდაჯერების საშუალებას მისცემს.

დემოკრატიული კავშირის თავისებური და უნიკალური გამოცდილება ჰქონდა უკრაინასაც. უკვე კიევის რუსეთის პერიოდში გავრცელებული იყო *სახალხო ვეჩე* პირველი მონაცემები ვეჩეს შეკრებების შესახებ მოცემული ჰქონდა IV საუკუნის ბიზანტიულ ისტორიკოსს პროკოფის თავის ნაშრომებში. ვეჩე სარგებლობდა უფლებით - მიემართა თავადებისთვის, გადაეწყვიტა სამეურნეო საკითხები, გამოცხადებინა ომი და დაემყარებინა მშვილობა. ხალხი იკრიბებოდა ვეჩეს მარის ხმაზე, რათა კოლექტიური გადაწყვეტილება მიეღოთ.

XV საუკუნის უკრაინაში, კაზაკობის დაარსების დროს, ჩამოყალიბდა საზოგადოებასთან *კავშირის* ინსტიტუტი. იგი წარმოადგენდა კაზაკთა შეკრებას, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ბაპოროჩიეს სეჩში, სადაც მსჯელობდნენ პოლიტიკურ, სამხედრო, სამეურნეო, დიპლომატიურ, ადმინისტრაციულ და სხვა საკითხებზე. პერიოდულად, ასეთ შეკრებებზე მოდიოდნენ უკრაინის მთელი კაზაკობა, სადაც წყდებოდა სხვადასხვა სასიცოცხლო საკითხები. ასეთი ორგანოების მუშაობა არის ნათელი მაგალითი კაზაკთა რეს-

პუბლიკაში დემოკრატიული წყობისა, უკრაინაში საზოგადოებასა და ხელისუფლების ორგანოებს შორის კავშირის არსებობისა.

საზოგადოებასთან კავშირის ხელობა, პრაქტიკა და ტაქტიკა ცივილიზაციის ისტორიის მიუღ პერიოდში განისაზღვრებოდა კომუნიკაციის საშუალებების განვითარებით, ინფორმაციის გავრცელებით, საზოგადოების ტექნიკური შესაძლებლობებით. ეს შესაძლებლობები ვერ შეედრება მე-20 საუკუნის ტექნიკას, როცა ფაბლიქ რილეიშენში ვითარდება ელექტრონული ინფორმაციის გავრცელებით. თანამედროვე კომუნიკაციებით - ტელეგრაფით, ტელეფონით, ტელექსებით, ფაქსიმილური კავშირით, თანამგზავრული კავშირით, კინო, რადიო და ტელევიზიით, ხოლო ახლა - კომპიუტერული ქსელით.

თანამედროვე ფაბლიქ რილეიშენში ტაქტიკა და მეთოდთა შევიდა პიერმენის არსენალში, ჯერ კიდევ ინდუსტრიული საზოგადოების და კაცობრიობის სამრეწველო რევოლუციის აღორძინების ეპოქის დადგომამდე.

საზოგადოების ინდუსტრიულ პერიოდამდე შეიქმნა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: *1438 წელს იოჰან გუტენბერგმა დააარსა ტიპოგრაფია და შეიმუშავა ტიპოგრაფიული პროცესების აბალი ტექნოლოგია* ცალკეული მოძრავი ლიტერის გამოყენებით. ამახ ხელი შეუწყო საზოგადოებასთან კავშირებს. გამოდიოდა წიგნები, მასობრივი ტირაჟით - გაზეთები, ვრცელდებოდა დაბეჭდილი მასალები ფართო აუდიტორიისათვის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ PR-ს დასავლეთის ქვეყნებში უკავია უფრო სერიოზული პოზიციები, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის სფეროში. მაგ., რომის პაპის იმიჯის შესაქმნელად მუშაობს ორი ერისკაცი: ვატიკანის გაზეთის მთავარი რედაქტორი და პრეს-კონფერენციის მუდმივი წამყვანი. ასეთი მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება აშშ-ის, რუსეთის, საქართველოს პრეზიდენტების იმიჯის შექმნაზე.

2.2. PR-ის პროფესიის საფუძვლის აღმუშავება, ინსტიტუციონალიზაცია და პირველი პროფესიული ფორმები აშშ-ში

საზოგადოებასთან კავშირის PR-ის თანამედროვე სისტემის, მის პრინციპებსა და სოციალურ ფუნქციებში დრმად ჩაწვდომა შეუძლებელია ამერიკის კონტინენტზე PR ჩამოყალიბების ისტორიის ექსკურსის - მიმოხილვის, საზოგადოების გამოცდილების გარეშე. ფაბლიქ რილეიშენში PR-ის პროფესიის საფუძვლები აღმოცენდა ერთდ-

5. PR-ის პროცესების მართვა

5.1. PR მართვის ძირები

PR სოციალური ინსტიტუტის მუშაობა თავისი ბუნებით და ლოსოფიით“ მიეკუთვნება ღია სისტემებს, რომელნიც ფუნქციონირებენ გარემოსთან ორმხრივი კავშირით.

PR, როგორც ღია სოციალური სისტემა, გარემოზე მოქმედებს არა მარტო პასიურად, არამედ მთელი თავისი შესაძლებლობით რეაგირებს. ასეთი მიდგომა რაციონალურად რეაგირებს აღბრუნების პრობლემებზე, დაგეგმილი სტრატეგიის დამუშავებაზე, პერსონალურ პროგრამირებაზე და, რაც მთავარია, საზოგადოებრივ აზრთან პროცესი წარმართვის სასურველი მიმართულებით.

ამერიკელი მკვლევარების, პროფესორების ჯეიმს გრუნიკის ტოლდ ჰანგის მიერ შემუშავებულია PR სფეროს მართვის სისტემა. PR-ის მმართველები ფუნქციონირებენ ორგანიზაციის ბიზნესში და გარე საზოგადოებას შორის, როგორც შემაერთებელი რგოლი. ამ მეცნიერებმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბეს PR მუშაობის სპეციფიკის მართვის პრინციპების თავისებურებანი:

– მათ უნდა განიხილონ ორგანიზაციის კავშირი მის გარემოსთან, როგორც წარმოების ხელმძღვანელობის და შემსრულებელ პერსონალს შორის შემაერთებელი რგოლი, ასევე კონფლიქტების რეგულაცია განმარტავს ან განმარტავს;

– უნდა იმუშაონ შიდა ორგანიზაციულ კონფლიქტებში, მოძიონ ადინამიკური კონფლიქტების პრობლემის ინოვაციური გადაწყვეტანი. PR-ის ხელმძღვანელები თავიანთი საქმიანობის შინაარსით განსხვავდებიან ორგანიზაციის კოლეგებისაგან, რადგან პიერზე საქმე აქვს განწყობასთან და საზოგადოებრივ აზრთან. PR-ის სპეციფიკის ევალუაციები ვალდებულნი არიან გამოიჩინონ ნოვატორობა არა მარტო კომუნიკაციური გადაწყვეტის სივალსაზრისით, არამედ მთელი წინადადებები გასაგები და მისაღები უნდა იყოს მათი კოლეგებისათვის;

– უნდა იაზროვნონ სტრატეგიულად. პიერზეების გადაწყვეტის უნდა დააკმაყოფილოს ორგანიზაციის რეალური მოთხოვნა, ასევე ხონ საერთო სურათი;

– PR-ის ხელმძღვანელებმა უნდა შეაფასონ პიერზეების მუშაობა. მათ მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბონ ამოცანები, გაზომონ წარ-

მატების დონე. ეს ითვალისწინებს ბიზნესის სფეროში ისეთი სამუშაოების გამოყენებას, როგორც არის დასახული მიზნებისა და შედეგების მართვა და კიდევ სხვა მართვის პროცედურები.

– და, ბოლოს, სისტემის მართვის პროცესში ორგანიზაციის საზოგადოებასთან კავშირის დროს, პიერზეებმა უნდა გამოამყარონ ღრმა ცოდნა თვით ორგანიზაციის სხვადასხვა ელემენტების მიმართ; (1) თვით ორგანიზაციის კომპონენტების ფუნქციების მიმართ; (2) შტატებით მართვის იერარქიული აგების სტრუქტურის შესახებ; (3) გადაწყვეტილების მიღების პროცესების მიმართ, რომლებიც არსებობს რეგლამენტებსა და პროცედურებში და რომლითაც ხელმძღვანელობს ორგანიზაცია; (4) უკუკავშირებზე, ორგანიზაციის ფორმალურ და არაფორმალურ მექანიზმების შეფასებაზე (იხ. Grunig E.J. and Hunt T. Managing Public Relations. – New York, 1984. – P. 89-97).

PR, როგორც ღია სისტემის ყველაზე განვითარებული ფორმა, წარმოადგენს ორგანიზაციის პრობლემის გადაწყვეტის სამეცნიერო მმართველობითი პროცესის შემადგენელ ნაწილს. PR სფეროს სპეციფიკის გამოყოფენ საზოგადოებასთან კავშირის პრობლემის პროცესის გადაწყვეტის ოთხ ეტაპს:

1. პრობლემის განსაზღვრა. ეს პირველი ნაბიჯი ამუშავებს საზოგადოების იმ ჯგუფების განწყობას და მოქცევას, რომელმაც მოქმედებს ორგანიზაციის პოლიტიკა და მის მოქმედებაზე არის დაბოკლებული მათი მუშაობა. ორგანიზაციის ანალიზური ფუნქცია წარმოადგენს სხვა მიმართულების პრობლემის პროცესების გადაწყვეტას. არკევეს, „რა ხდება მოცემულ მომენტში?“

2. დაგეგმვა და პროგრამირება. პირველ ეტაპზე შეგროვილი ინფორმაცია გამოიყენება საზოგადოებასთან მუშაობის პროგრამის ამოცანების და პრაქტიკული ნაბიჯების, კომუნიკაციების სტრატეგიისა და ტაქტიკის გადასაწყვეტად. მოცემულ ეტაპზე ხდება პოლიტიკაში და ორგანიზაციის მუშაობაში დაგროვილი ინფორმაციის ტრანსფორმაცია. მეორე ეტაპის ძირითადი დავალებაა პრობლემის გადაწყვეტა და პასუხის გაცემა შეკითხვაზე: „რა არის აუცილებელი, რომ შეიცვალოს, გაკეთდეს ან ითქვას ცნობილი სიტუაციიდან გამომდინარე?“

3. მოქმედება და კომუნიკაცია. მესამე ეტაპი – მოქმედების და კომუნიკაციის პროგრამის რეალიზაციაა, მიმართული იმისკენ, რომ საზოგადოების თითოეულ ჯგუფში შეიცვალოს კონკრეტულად რა-

დაც და ეს ცვლილება წარმოადგენს საერთო პროგრამის პროგნოზ მისი შემადგენელი ნაწილი. ამ ეტაპზე მთავარი კრიტერიუმია თხოულობს პასუხს, არის: „ეინ უნდა გააკეთოს, თუ როდის, სად და როგორ?“

4. პროგრამის შეფასება. მართვის პროცესის ბოლო ეტაპი ითხოვს მომზადების შეფასებას, პროგრამის შედეგების რეალურ ციას. პროგრამის რეალიზაციის პერიოდში ხდება მუდმივად უფორმაციის კორექტირება. პროგრამის შესრულება გრძელდება წყდება საკითხის გარკვევის შემდეგ: „როგორ მიდის საქმეებში როგორ ვიმუშავეთ ჩვენ?“

PR პროგრამის პრინციპების დამუშავების კონკრეტული ანალიზი პირველად ახსენა PR ამერიკელმა მკვლევარმა ე. ბერნაიმმა. კვიდე 1935 წელს მან წარმოადგინა პიერმენის მუშაობის პროგრამის საკუთარი მოდელი, რომელიც შეიცავს შემდეგ ელემენტებს:

1. მიზნების ფორმულირება. უნდა მოხდეს კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების თანხვედრა.
2. საზოგადოების კორპორაციებთან ურ. იერთობის ანალიზი.
3. ანალიზის მონაცემების შესწავლა.
4. ინფორმაციის გავრცელების საშუალებათა გამოყენება.

როგორც ე. ბერნაიმი აღნიშნავს, პროგრამა არ უნდა იყოს დროებითი. პირიქით, ის უნდა გახდეს კორპორაციის სისტემის ფუნქციაში მისი ხელმძღვანელის მუშაობის და აზროვნების შემადგენელი ნაწილი, მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმატების მიღწევა იქნება, ბერნაიმის მიერ შემოთავაზებული PR სპეციალისტების მოქმედების პროგრამის პრინციპების აგება ფართოდ გამოიყენება.

როგორც პრისტონის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების პროფესორი, ავტორი მონოგრაფიებისა საზოგადოების აზრის და საზოგადოებასთან ურთიერთობის მედიაციური პრობლემების შესახებ, პ. ჩაილდმა აღნიშნავს, რომ სანამ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას შეუდგება ნებისმიერ საკითხში, უნდა იყოს დაკლებული შემდეგი პროცედურები: მკაფიოდ განისაზღვროს კამპანიის პროპაგანდისტული თბიექტები, გამოიყოს სოციალური ჯგუფები, რომლებიც გახდებიან ზეგავლენის თბიექტად, გაანალიზდეს ამ ჯგუფების განწყობა და აზრი ორგანიზაციის მიმართ, აგრეთვე გაირკვეს, რატომ აქვთ ამ ჯგუფებს ასეთი წარმოდგენა, არასაკმარისი ინფორმაცია აღნიშნული საკითხის მიმართ. წინასწარი ანალიზის შემდეგ, აუცილებელია შეიქმნას ორგანიზაცია, რომელიც ამ ფორმის მიზნებს გამოხატავს.

თვით PR ღონისძიებათა პროგრამა დაფუძნებული იქნება შემოქმედებით კომპონენტზე: 1) ორგანიზაციაზე; 2) არგუმენტაციაზე (სახელების, სტატუტების მომზადება და სხვა); 3) დარწმუნების მოქმედებებზე (ემოციური მოწოდებები); 4) ფაბლისტიკაზე (მასობრივ ინფორმაციათა საშუალებების ამორჩევა, დროის მიხედვით მათი მოქმედების კოორდინაცია, ლობუზგების დრამატიზება, ურთიერთშედადება მიმდინარე მოვლენების მიხედვით).

უფრო მოგვიანებით, ჩაილდმა, PR მართვის პრობლემების პროცესებს დაუმატა ფაბლიკა რილეიშენ PR-ის სიტუაცია, აქ ლაპარაკია მის შესახებ, რომ სპეციალისტების მოქმედებისას, გარდა სტრატეგიისა, არასოდეს ექცევა ყურადღება ორი მხარის სიტუაციას ანალიზობაში; ერთი მხრივ, ეს არის ორგანიზაცია, ვისთვისაც იგეგმება PR პროგრამა, მეორე მხრივ – მოსახლეობა ან მისი ცალკეული ჯგუფები, რომელთა გარემოშიც ხდება ამ პროგრამის რეალიზაცია. ამიტომ საჭიროა PR-სიტუაციის შესწავლა, რომელიც სამი კომპონენტის თავმოყრაა: კლიენტის (პირი ან ორგანიზაცია), მასის (მოსახლეობა) და კომუნიკაციის პროცესის (ურთიერთმოქმედება ერთმანეთს შორის). (იხ.: Childs H.L. Public Opinion: Nature, Formation, and Role, - N.I., 1965. -P.269-271).

ყველა ეს შემადგენელი ელემენტი მუდმივად უნდა ისწავლებოდეს, კვიადებოდეს მათი ანალიზი, ურთიერთმოქმედების დინამიკა. პიერმენმა უნდა იცოდეს ყველაფერი: კლიენტის შესახებ (მისი ისტორია, ტრადიციები, სუსტი და ძლიერი მხარეები) და სოციალური ჯგუფების შესახებ (მათი შემადგენლობა, სტრუქტურა, კულტურის დონე, ფსიქოლოგიური თავისებურებანი), კომუნიკაციის საშუალებების შესახებ, სხვა სიტყვებით, ყველაფერი, რაც ზეგავლენას მოახდენს კორპორაციასა და სხვა ინსტიტუტებს შორის ურთიერთობაზე, რათა წარმატებით განახორციელოს PR-ის პროგრამა. მხოლოდ ასეთი მიდგომა იქნება სასარგებლო ნებისმიერი სიტუაციისათვის, რომელიც დაკავშირებულია სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობაზე და პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

მხოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება PR-ის პროცესების მართვა. პრობლემების ანალიზური მონღირება იწყება კვლევითი მუშაობით, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზაციას კონკრეტულ პირობებში ხალხს რომელ ჯგუფს ან ორგანიზაციას დაეყრდნოს, რომელი ვარიანტები აირჩიოს საზოგადოების აზრზე ზეგავლენის მოსაპოვებლად.

ქვემოთ განხილულია PR პრობლემების ყველა ეტაპის გადაწყობა.

5.2. PR-ის პრობლემის განსაზღვრა

PR პრობლემის განსაზღვრისათვის საჭიროა დადგინდეს კვლის როლი დაგეგმვის სტრატეგიაში. კვლევა წარმოადგენს ინფორმაციის სისტემატურ მოპოვებას, რომელიც აუცილებელია სიტუაციის ყოველმხრივი გაგებისთვის, საზოგადოებასთან საუარაუდო კავშირის შესახებ. კვლევა წამოწეულია არა როგორც უბრალო სტატისტიკური მონაცემების აღმოჩენისთვის, არამედ ალტერნატიული ტრადიციული მონაცემების აღმოჩენისთვის, აგრეთვე ინტუიციის მიმართ პატივისცემაში. მისი ძირითადი მოწოდებაა – გადაწყვეტის მიღებისას აღმოიფხვროს დაურწმუნებლობის ელემენტები. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მუშაობას არ შეუძლია აბსოლუტურად უპასუხოს ყველა კითხვას და გარანტია მისცეს ყველა გადაწყვეტის სისწორეში, მაინც მეთოდოლოგიურ, სისტემატურ კვლევებში ჩადებულია საზოგადოებასთან კავშირის ეფექტური გარანტია.

პრობლემის დახურულ სისტემებში, როგორც წესი, საკმარისშირად მოსალოდნელია კრიზისები. ამიტომ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა არ იყოს არასასურველი ამრიგანი მოქმედება ორგანიზაციის შიგნით, იხარჯება დიდ თანხები, რათა სხვაგვარად მოაზროვნეებს დაუმტკიცოს თავისი სიმართლე, განაცხადოს კრიზისული სიტუაციის გადასაღებად გადადგმული ნაბიჯების შესახებ, როცა აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფი მიმართავს სასამართლოს და იწყება სასამართლო პროცესი ორგანიზაციის ახალი პროექტების წინააღმდეგ, რომლებიც თავი დროზე არ იყო საზოგადოებასმდე მიყვანილი.

პრობლემის გამწვავების პროცესი იწყება რაღაცაზე მსჯელობით, რომ რაღაც ისე არ არის ან მალე ისე არ იქნება, ან შეიძლება უკეთ ყოფილიყო, ორგანიზაციის ნებისმიერი მიზანი შეიცავს ამგვარი მსჯელობის საფუძველს. ახალი გადაწყვეტილების ყოველი განცხადება წარმოადგენს რაღაც ახალს, რეალურს ან პოტენციურ პრობლემას, რომლის გადაწყვეტა შეუძლია ორგანიზაციას.

როდესაც გაკეთებულია პროგრამული განცხადება და ობიექტურად წარმოიქმნება მსჯელობა მის გარშემო, რათა ყურადღება გადატანილ იქნეს რეალური პრობლემიდან, სწორედ მაშინ აუცი-

ლებელია კვლევითი მუშაობის სისტემატური გააქტიურება, ანუ ამ სიტუაციაში აუცილებელია გაირკვეს: რა ხდება მოცემულ მომენტში? პრობლემის ფორმულირებით ჯამდება ყველაფერი, რაც უკვე ცნობილია პრობლემური სიტუაციის შესახებ, შემდეგი სპეციფიკური ცნებებით:

რა არის მდგომარეობის წყარო?

სად იმალება პრობლემა?

როდის გამწვავდა პრობლემა?

ვინ არის ჩათრეული მასში და ვინ იტანჯება მისგან?

როგორ აღმოჩნდნენ პრობლემის მონაწილენი და როგორ მოქმედებენ მისი ბემოქმედების ქვეშ?

რატომ აწუხებს ეს ორგანიზაციას და მის საზოგადოებას?

მაგრამ პრობლემის ფორმულირება არ ითვალისწინებს მისი გადაწყვეტის გზებს და ბრალდებებს ეინმეს მისამართით, თუ ეს მომენტი ასახული იქნებოდა მასში, მაშინ პროგრამირება და დაგეგმვა წინასწარ მოცემული და შეზღუდული იქნებოდა.

პრობლემის ფორმულირების კლასიკურ მაგალითად, რომელიც შეიქმნა მისი გადაწყვეტის ელემენტს, პიერმენები თვლიან ფართოდ გაფრთხილებულ მტკიცებულებას: „აქ ყველაფერი მიდის კომუნიკაციის პრობლემისაკენ“. მაგრამ კომუნიკაცია, ურთიერთობის საკითხები, პრობლემის შემადგენელი ნაწილია და არა პრობლემა, მაგალითად, უკრაინის ახალგაზრდა დემოკრატიული პარტიის რეალურ პრობლემას წარმოადგენს მათი რეიტინგი, რომელიც 10%-ზე დაბალია. არჩევნების დროს მათ არ შეუძლიათ შექმნან მძლავრი საარჩევნო კოალიცია, ისინი კონკურენციას უწევენ ერთმანეთს. უკრაინაში მექნიერების განვითარებისათვის მკვეთრად შეწყვიტა საბიუჯეტო დანახარჯები და ამჟამად შეადგენს 1%-ზე ნაკლებს. ხელფასები დროულად არ გაიცემა, ძალიან ბევრი ნიჭიერი კადრი შექნიერული სფეროდან, უკრაინის აკადემიის ინსტიტუტებიდან მიდის სხვადასხვა სახელმწიფოში. ანალიტიკური სიტუაციაა საქართველოშიც და დსთ ქვეყნებში. რატომ? ყველა მემოთ ჩამოთვლილ პრობლემურ სიტუაციაში არ ჩანს პრობლემის გადაწყვეტის გზები, მათ გადასალახავად – კონკრეტული სტრატეგიები.

სიტუაციების გაანალიზების დროს აუცილებელია გაირკვეს, დაბუსტდეს და გამოიყოს პრობლემის ფორმულირების შემადგენელი ნაწილი. ე.ი. პრობლემის განსაზღვრის პროცესი იწყება მისი წინასწარი პირობითი ფორმულირებით, შეისწავლება სიტუაცია და მხო-

ლოდ შემდეგ ხდება პირველი ფორმულირების დაზუსტება და ასე გრძელდება ანალიზის პროცესი, სანამ კონკრეტულ მიზანს არ მივა კვლევა. სიტუაციის ანალიზის შესახებ შეკრებილი მასალები ფორმდება ღოსიეს სახით, რომელიც შედგება ორი ცალკეუ სექციისაგან: შიდა და გარე ფაქტორებისაგან.

შიდა ფაქტორების სექციაში, უპირველესად, მოცემულია ღოსიეს მენტები და მასალები პრობლემურ სიტუაციასთან დაკავშირებით რომელიც შეიცავს საორგანიზაციო საკითხებს, პროცედურებს და აქციებს. იმის მგვირვინად, რომ მთელი ყურადღება მიქცეული იყოს ორგანიზაციის სხვადასხვა ჯგუფებზე და სხვა შიდა გარემოებებზე სიტუაციის ანალიზი უნდა დაიწყოს სხვადასხვა ამრის მიმოხილვით და შიდა ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ფიგურის საქმიანობით, რომელიც პასუხისმგებელია პრობლემებზე. მეორე მხრივ, ამ სექციის უნდა იყოს კომუნიკაციური აუდიტი, ე.ი. ორგანიზაციის კომუნიკაციური მოქცევის ღოსიეს მენტური სისტემატიზაცია, რომლის მიხედვით შეიძლება შემოწმება, თუ როგორ ეპყრობა ორგანიზაცია თავის სამოგადოებას. ასეთი აუდიტი საშუალებას იძლევა: გააანალიზოს ორგანიზაციის დამოკიდებულება თავის თანამშრომლებთან მიმართებით თემის ორგანიზაციასთან, შეაფასოს კომუნიკაციის ოფიციალური არხების ხარისხი, მაგალითად, ყოველღოსიეს ანგარიშების, ახალი ამბების ბიულეტენი და სხვა. გამოსცადოს ორგანიზაციის საქმიანობა. როგორც სამოგადოების კოლექტიური მოქალაქე, კომუნიკაციური აუდიტი ხშირად ანგარიშის თავისებური წერტილის მოქალაქობას ასრულებს, რომელიც აფასებს სამოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში კონკრეტულ ღოსიეს მიმართებას.

კომუნიკაციური აუდიტი აუცილებელია, რათა გადაწყვედეს შემდეგი კითხვები, როგორც არის:

- საინფორმაციო ნაკადების ვიწრო აღგიდები.
- კომუნიკაციური დატვირთვების უთანაბრობა.
- თანამშრომელთა ერთმანეთთან მუშაობა.
- შიდა ორგანიზაციის დახურული ინფორმაცია, რომლის გამოყენებას შეუძლია ზიანის მოტანა.
- კონფლიქტის ცნება. ეს ეხება იმას. თუ რა არის ორგანიზაცია სინამდვილეში და როგორ მოქმედებს.

ამრიგად, კომუნიკაციური აუდიტი იძლევა არსებული მდგომარეობის სრულ სურათს და წარმოადგენს აუცილებელი ცვლილებების საფუძველს მოცემულ სფეროში.

სიტუაციის ანალიზის მესამე სექციის შემადგენელი ნაწილი მუდმივად უნდა განახლდეს ორგანიზაციის მუშაობის კალენდარ-ქრონიკით. ღოსიეს ეს ნაწილი წარმოადგენს ორგანიზაციის მიმდინარე მუშაობის არა მარტო მნიშვნელოვან ცნობარს ცალკეულ კითხვებზე, არამედ იდეების და ინფორმაციის წყაროს მოხსენებების, ბროშურების, საპეციალური ანგარიშების დასაწერად, ასევე გამოყენების და მასობრივ ინფორმაციასთან საშუალებების მხრიდან ინფორმაციული კითხვარების დასაკმაყოფილებლად. ინფორმაციის სიზუსტე და მხილება ორგანიზაციის საქმიანობის ისტორიის შესახებ, ხელმძღვანელი კადრების გადაადგილება, შეიძლება პიერმენების სივის გამოდგეს ბრძოლის საშუალება უსაფუძვლო ხმების (ჭორების) წინააღმდეგ.

სიტუაციის ანალიზის მეორე სექცია ეძღვნება გარე ფაქტორებს - ყურადღება კონცენტრირდება როგორც დადებით, ასევე უარყოფით პროცესებზე, რომლებიც ორგანიზაციის გარეთ ხდება. მოცემული სექცია იხილავს გარეთა პრობლემების ასპექტების სიტუაციას, იკვლევს საზოგადოების ჯგუფებს და დაწესებულებებს. გარეთა ფაქტორების სექციაში უნდა იყოს კვლევის შედეგად დასაბუთებული პასუხები შემდეგ შეკითხვებზე:

1. პრობლემური სიტუაციის ანალიზის ღოსიეს ხალხის მიერ რამდენი ინფორმაცია გამოიყენება?
1. რა ინფორმაციით სარგებლობს ხალხი?
2. როგორ იყენებს ხალხი ამ ინფორმაციას?
3. რით არის განპირობებული ინფორმაციის გამოყენება?

მას შემდეგ, რაც სიტუაცია გაანალიზდება, PR-ის საპეციალისტები შეუდგებიან გარე პროგრამული მიზნების დამუშავებას, სიტუაციის ანალიზი მათ და ორგანიზაციის ხელმძღვანელებს აძლევს ღოსიეს, სრულყოფილ და ზუსტ ინფორმაციას პრობლემის გაგებისა და პასუხსაგები გადაწყვეტის მისაღებად.

სექციის მიზანია პრობლემურ სიტუაციაში შიდა და გარე ფაქტორების ანალიზის შედეგად პიერმენის მიერ შეფასებული ინფორმაციის წყარო, რომლის საფუძველზე შეუძლია დაადგინოს ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი პოზიცია, რის შედეგად განისაზღვრება მისი შესაძლებლობები და საფრთხე გარემოსაგან.

PR კვლევითი მუშაობისათვის მნიშვნელოვანია კვლევის მეთოდის შერჩევა შემდეგი საკონტროლო შეკითხვების გამოყენებით: 1. როგორ გამოიყენებენ კვლევის შედეგებს? 2. მოსახლეობის

რომელი კონკრეტული ჯგუფი (საზოგადოება) უნდა იყოს შეს-
ლილი და როგორ უნდა ჩამოყალიბდეს შერჩევა? 3. მეთოდ-
რომელი ტიპი ესადაგება მოცემულ შემთხვევას? 4. თუ გამო-
ნებული იქნება სოციოლოგიური კვლევა, რომელი იქნება ყველ-
უფესტური? 5. რეკომენდებულია მხოლოდ დახურული ან მხოლოდ
ღია შეკითხვები, თუ მათი კომბინაციები? 6. როგორი კვლ-
გამოცდილება აქვს ორგანიზაციას, როგორია თანამშრომელთა პ-
ფესიონალური მომზადების დონე? 7. როგორ იქნება განხორ-
ცილებული მონაცემების ანალიზი და რა ფორმით იქნება წარმი-
გენილი შედეგები? 8. როგორ სწრაფად შეიძლება კვლევის შე-
დეგების მიღება? 9. რა ელირება კვლევა?

ფაბლიქ რილეიშენზის სფერიში კვლევა ხდება ძირითადად ო-
ტიპის: *ფორმალური და არაფორმალური*

ფორმალური კვლევა ითვალისწინებს ინფორმაციის მოპოვებ-
მკაცრ მეთოდებს. იწყება ამოცანის დასმით და მთავრდება მი-
ბული შედეგების ინტერპრეტაციით.

არაფორმალური კვლევა თავისი მეთოდებით ხდება თვისობრი-
ვად და რაოდენობრივად. თვისობრივი კვლევა ბაზირდება სოცი-
ოლოგიის თეორიულ რესურსებზე, ინდივიდუალურ გამოცდილებაზე
დაკვირვებებზე, პირადი და ოფიციალური დოკუმენტების ანალიზზე
თვისობრივი მეთოდებიდან ყველაზე გავრცელებულია ისტორიო-
რაფიული (ბიოგრაფიული) მეთოდი, კვლევა ცალკეული მაგალით-
ბისა, პირადი დოკუმენტების (დღიურების) შესწავლა, ინტერვიუებ
გატარება, ფოკუს-ჯგუფები, პანელური კვლევა.

რაოდენობრივი კვლევა წარმოადგენს ხერხების, პროცედურ-
ბის, მეთოდების აღწერის ერთობლიობას, ახალი სოციოლოგიურ
ცოდნის მიღებას, რომელიც ყალიბდება მათემატიკის მეთოდები
კომპიუტერული ტექნიკის მიღწევების საფუძველზე. რაოდენობრი-
კვლევის ყველაზე გავრცელებულ მეთოდად ითვლება კონტენტ-ან-
ლიზი, საზოგადოების აზრის გამოკითხვა და სხვა ტიპის სოციოლო-
გიური კვლევები.

PR სპეციალისტებისთვის აუცილებელია ფორმალური კვლევის
რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების უპირატესობის და ნა-
ლოვანების ცოდნა. ქვემოთ მოცემილია შედარებითი ცხრილი „პლ-
სისა“ და „მინუსების“ სახით.

არაფორმალური კვლევა ტარდება სამეცნიერო წესებისა და
პროცედურების დარღვევით. ფორმალური კვლევისაგან განსხვავ-
ებით, რომელთა შედეგები გამოიყენება წინასწარმეტყველებისა და
პროგნოზირების დროს, არაფორმალური კვლევები გამოიყენება
კონკრეტული სიტუაციების აღწერისათვის. არაფორმალური კვლე-
ვის ექსპერიმენტები, ცდები, არ ითვალისწინებენ ჩარევას საქ-
მეებში, ეურნალისტურ გამოძიებას, კომუნიკაციურ აუდიტს, საზო-
გადოების აზრის აუდიტს, ფაბლისიტის ანალიზს და სხვა. ასეთ
კვლევებში დიდ როლს ასრულებს ინტუიცია და კვლევის პირადი
გამოცდილება.

*ფორმალური კვლევის მეთოდების უპირატესობანი -
და ნაკლოვანება*

მეთოდები	„პლუსები“	„მინუსები“
1	2	3
თვისობრივი ისტორიოგრაფიული, ცალკეული შემთხვევების კვლევა, პირადი დოკუმენტები (დღიურები).	<ol style="list-style-type: none"> ნების მიცემა სიტუაცი- აში ჩაწვდომისათვის. ითვალისწინებს შემდგომ კვლევას, რომ უპასუხოს ყველა შეკითხვაზე „რატომ“? აქვს დეტალები, რომლ- ებიც შეიძლება გამოყენებუ- ლი იქნეს შემდგომ კვლე- ვებში. 	<ol style="list-style-type: none"> ძნელია გაკეთდეს გან- ზოგადებული დასკვნა. ხშირად აკლია მეცნი- ერული სიმკაცრე, ზედმი- წევნითი ანალიზი. თხოვლობს ბევრ დროს, მონაცემების დიდ რაოდე- ნობას.
ინტერვიუები.	<ol style="list-style-type: none"> ნების მიცემა ინტერვიუს ამღებს, ღრმად ჩაწედეს პრობლემის ახალ პლას- ტებში. ეძლევათ საშუალება რესპოდენტებს - სრულად გამოთქიან თავიანთი აზრი და შეაგროვონ მეტი ინფორმაცია. ეძლევათ საშუალება გააფართოონ შეკითხვების წრე, ღრმად ჩასწვლენ პრობლემას. 	<ol style="list-style-type: none"> ძნელია ფიქსირება და კოდირება კონტენტ-ანალი- ზისათვის. ინტერვიუ მოგჯერ მე- წოლას ახდენს რესპოდენ- ტზე და შედეგად - პასუხების შინაარსზე. პასუხები ხშირად შეიცა- ვენ ზედმეტ ინფორმაციას.

1	2	3
ფოკუს-ჯგუფები	<p>1. მონაცემები შეიძლება შეიკრიბოს სწრაფად, დანახარჯები ნაკლებია, ვიდრე სხვა კვლევების დროს.</p> <p>2. მოქნილები არიან მონაცემების თვალსაზრისით.</p> <p>3. ნებას აძლევენ მიიღონ უფრო ღრმა ინფორმაცია, დაადგინოს ურთიერთობის ქცევის და დაძაბულობის მიზეზები.</p>	<p>1. მონაცემები ხშირად აღებულია როგორც საბოლოო მტკიცება, მაშინ როცა ფოკუს-ჯგუფები – ეს უბრალოდ მეთოდია, რომელიც გამოიყენება სხვა მეთოდებთან ერთად.</p> <p>2. მოდერატორები არაპროფესიონალურად იქცევიან, ამიტომ ყველა მონაწილე არ გამოთქვამს თავის აზრს.</p> <p>3. ხშირად არ ხდება მოსახლეობის რეპრეზენტაცია.</p>
პახელური კვლევა	<p>1. იხილო „ფოკუს-ჯგუფები“.</p> <p>2. მონაწილენი ისე უნდა შეირჩეს, რომ მისი მოსახლეობის რეპრეზენტაცია მოახდინოს.</p>	<p>1. იხილე „ფოკუს-ჯგუფები“.</p> <p>2. ხშირად მოწვეული ერთი და იგივე ხალხი იღებს თამაშის წესებს და აღარ არიან რეპრეზენტატიულები.</p>
რაოდენობრივი		
კონტექსტ-ანალიზი	<p>1. უზენებს რა ხდება, როგორი სიხშირით, სად და რა მდგომარეობაში.</p> <p>2. იძლევა სხვა მონაცემებთან, განსაკუთრებით საზოგადოების სხვა ჯგუფებთან შედარების საშუალებას</p> <p>3. სასარგებლოა ტენდენციის გამოსავლენად</p>	<p>1. ძეირია და მოითხოვს ბევრ დროს.</p> <p>2. არ იძლევა საზოგადოების აუდიტორიაზე ინფორმაციის შეტყობინების შემოქმედებას.</p> <p>3. ზოგიერთი სასარგებლო ინფორმაცია შეიძლება არ დაფიქსირდეს, დაიკარგოს</p>
სოციოლოგიური კვლევა	<p>1. მოქნილები არიან.</p>	<p>1. რესპოდენტებს შეუძლიათ დამალონ სიმართლე</p>

	<p>2. გამოირჩევიან ტიპების სხვადასხვაობით საფოსტო, სატელეფონო, პერსონალური, ჯგუფური ინტერვიუები</p> <p>3. გამოთქმული აზრები იწვევს ადამიანის დაკმაყოფილების გრძნობას</p>	<p>თუ რაღაც ზუსტად არ ახსოვთ ან სურთ გამოიყურებოდნენ უკეთესად, ვიდრე არიან.</p> <p>2. ინსტრუმენტარიის სიმკაცრე არ იძლევა ღრმად ჩაწედომის საშუალებას გრძნობის ექსპრესიულობასა და ძალაში.</p> <p>3. კითხვები შეიძლება დასმული იყოს არა მათვან, ეისაც ეს უნდათ.</p>
--	--	--

არაფორმალური კვლევის მეთოდების უპირატესობანი და ნაკლოვანება

მეთოდები	„პლუსები“	„მინუსები“
1	2	3
შეუმჩნეველი/ „თავისმოუხვეველი“	<p>1. ჩაურევლობა, რომელიც საზოგადოებას აწუხებს.</p> <p>2. მატერიალური მტკიცებულების არსებობა.</p> <p>3. შეიძლება იყოს ნაკლებად ძვირფასი და უფრო მოხერხებული.</p>	<p>1. კვლევის სისტემური შეცდომები.</p> <p>2. წამყვანის ჩაწერის შეცდომები.</p> <p>3. მონაცემების ფიქსირება.</p> <p>4. ზოგიერთი არსებითი მტკიცებულება გამოუსადეგარია ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური კვლევისათვის.</p>
კომუნიკაციის მიზნები მოქმედებს არა მარტო მარკეტინგული კომუნიკაციის კომპლექსის სტრუქტურაზე, არამედ იგი ასევე მოქმედებს მარკეტინგული კომუნიკაციის თითოეული საშუალების მახასიათებელზე. მაგალითად, კომუნიკაციის მიზნის მიხედვით ისაზღვრება რეკლამის ინტენსივობა. მრავალი კომპანია, როგორცაა Procter Gamble, თავისი პროდუქტის რეკლამირებას ახდენს ათასჯერ. მაგლონალდსმა გააკეთა 1000-მდე სხვადასხვა რეკლამა თავისი ბუტერბროდების შესახებ. მრავალი სარეკლამო განცხადების გაკეთება ზოგიერთი პროდუქტისათვის აუცილებელიცაა. ერთჯერადი სარეკლამო გამოსვლა საკმარისი არ არის პროდუქტის მყიდველუნარიანობის გასაზრდელად. ხშირად საჭირო ხდება ერთი და იმავე პროდუქტის წინ წასაწევად რამდენიმე რეკლამის შექმნა, რათა მომხმარებლისთვის მოსაბეზრებელი არ იყოს ერთი და იმავე სახის რეკლამა, ან რეკლამის ცვლა საჭიროა მაშინ, თუ პროდუქტზე მოთხოვნა იცვლება. იმ შემთხვევაში, როცა კომპანია თავის პროდუქტის გასაღებას ცდილობს ორგანიზაციაზე, კომუნიკაციის საშუალებებზე იყენებენ PR რეკლამას და ინდივიდუალურ ვაჭრობას, რადგან წინ წაწევის ეს ელემენტები ეხმარებიან ერთმანეთს. მცირე კომპანიები, რომელთაც არ გააჩნიათ ფართო რესურსი, უმეტესად შემთხვარაგვებიან პერსონალური ვაჭრობით. პერსონალურ ვაჭრობას აწარმოებს მთავარი პასუხისმგებელი პირი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს ბიზნესს.

რეკლამა და ფაბლიქ რილეიშენში განიხილება როგორც ერთი საშუალება მარკის იმიჯის მხარდასაჭერად ხანგრძლივი დის განმავლობაში. ფასდაკლება ასუსტებს მარკის ხარისხის კონკრეტული პროდუქტის წინ წაწევის საშუალებების განისაზღვრება კომუნიკაციური სიტუაციის მთელი რიგი პარამეტრებით.

- კომუნიკაციის მიზანი – ეს შეიძლება იყოს კოგნიტიური (პირ) ურთიერთობებით მიღებული ფაქტიური ინფორმაცია რომელიც ამტკიცებს მომხმარებლის მყიდველობის უნარს
- პროდუქტის კატეგორია – წინ წაწევის საშუალებები რეკლამას ახდენს მაღალი, საშუალო და დაბალი მომთხოვნილობის მქონე მომხმარებელზე.
- მარკეტინგის კომპლექსი – საზღვრავს ეაჭრობის წინ ვის მოკლევადიანი ეფექტის პრიორიტეტს ან მაღალხარისხიანი პროდუქტის გრძელვადიანი იმიჯის ეფექტს.
- პროდუქტის სიცოცხლისუნარიანობის ციკლის სტადია – ბარზე ახალი უცნობი პროდუქტის წინ წაწევის მიზანი ხვადვდება უკვე გაყიდვაში არსებული პროდუქტის წინ წაწევის მიზნისაგან.
- მიზნობრივი ბაზარი – მომხმარებლების მიზნობრივი სეგმენტი შეიძლება განვასხვაოთ გაცნობიერების ხარისხით, მარკეტინგის ჩაბმით ყიდვის პროცესში, მოტივაციის ტიპით და ცხოვრების სტილით.

მარკეტოლოგის ამოცანაა არა მარტო წინ წაწევის სხვადასხვა საშუალებების შერჩევა, არამედ მათი ინტეგრაცია (საერთო პროგრამა) წინ წაწევის კომპლექსში. PR სპეციალისტი უნდა ხელაფარდობდეს როგორც წინ წაწევის მილიან კომპლექსს, ასევე PR რილისაგან მთელი ამოცანის გადასაწყვეტად.

7.1.3. ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის ღირებულება

მარკეტინგული კომუნიკაციის დაგეგმვა იცავს სტრატეგიულ მიდგომის საფუძველზე. ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის პროგრამის შემქმნელს ხელი უნდა ჰქონდეს მარკეტინგის პროგრამა (კომპანია, პროდუქტის ხაზი ან მარკები), ან კიდევ, ინფორმაცია ორგანიზაციის მარკეტინგული მიზნების შესახებ. ეს ცნობები წარმოადგენს საწყის მონაცემებს წინ წაწევის პროგრამის

დაგეგმვისათვის. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა როლს შეასრულებს წინ წაწევა მარკეტინგის საერთო პროგრამაში. მარკეტინგულ პროგრამაში უნდა აისახოს ორგანიზაციის მოღვაწეობის ხედვა ისეთ საკითხებზე, როგორცაა ორგანიზაციის მისია და ორგანიზაციის მთავარი მიზანი, ასევე ორგანიზაციის სტრატეგია – როგორც მოდელი ამ მიზნის მისაღწევად.

მარკეტინგის პროგრამას განსაზღვრავს მიზნობრივი ბაზარი, რომელიც ორიენტირებულია იმაზე, თუ რომელი პროდუქტი რა ფასში და რა არხებით იქნება მიწოდებული მომხმარებელზე. ამ მონაცემების საფუძველზე წყდება წინ წაწევის საშუალებების შერჩევა. თითოეული შერჩეული წინ წაწევის საშუალება (PR, რეკლამა და სხვა) მიზნად ისახავს განისაზღვროს ბიუჯეტი და სტრატეგია – მიზნის მისაღწევად მოქმედების მოდელი. ეს სტრატეგიები ინტეგრირდება ბიუჯეტის, დროის, ღონისძიებების და შემსრულებლების მხედველობაში მიღებით. მარკეტინგული კომუნიკაციის კომპლექსის მოდელი წარმოადგენს მატრიცას, რომელიც ითვალისწინებს საშუალებებს (ღონისძიებებს) კომუნიკაციის პერიოდში. კომპლექსის ვარიანტები მოცემულია ნახაზზე 7.1. მატრიცაში მოცემული მონაცემები წარმოების იმ ღონისძიებების შესახებ, რასაც წარმოება აფინანსებს. უნდა აღინიშნოს, რომ თუ ინტეგრირების მომსახურების ხარჯების გაწევა წარმოებას უხდება მთელი წლის განმავლობაში, PR-სათვის მას არ უხდება თანხების გაღება. წინ წაწევის პროგრამის რეალიზაცია მიზნობრივ ბაზარზე უზრუნველყოფს პროდუქტის რეალიზაციას უმოკლეს ვადებში. შედეგების არადასაკმაყოფილებელი მაჩვენებლების შემთხვევაში საჭიროა ცვლილებების შეტანა პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსში ან მილიანად მარკეტინგულ პროგრამაში.

9. იმიჯი და ფაქტური რეპრეზენტაცია PR

9.1. იმიჯი პოლიტიკოსებისათვის

დიდ ბრიტანეთში მოქმედებს მეტად მნიშვნელოვანი PR აქსიომა. რომელიც მიგვესადაგება ჩვენც – მთავრობა უნდა მუშაობდეს ეფექტურად, იმდენად ეფექტურად, რომ ყველა მოქალაქე უნდა იყოს დარწმუნებული იმაში, რომ მთავრობის მუშაობა ნამდვილად ეფექტურია. როგორც ვხედავთ, უბრალოდ კარგად მუშაობა საკმარისი არ არის. არანაკლებ მნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენს ამ მუშაობის დანახვა და აღიარება მოსახლეობის მიერ. ხშირად ჩვენი პოლიტიკოსებისაგან გვესმის სიტყვა „გამჭვირვალობა“. მოსახლეობა უნდა ხედავდეს კომპეტენტური ხელმძღვანელობის პატიოსნებას, რაც ხელს უწყობს მათ მიერ გადაწყვეტილებების დიად მიღების შესაძლებლობას. მთავრობა ვალდებულია გამოიჩინოს თავისი მოქალაქეებისადმი ყურადღება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი მთავრობა საერთოდ არ არის საჭირო. ამიტომ ნეგატიური მოვლენების მიმართაც კი მთავრობა ვალდებულია რეაგირება მოახდინოს საჭირო ფორმით. მაგრამ საქართველოში მოსახლეობის ყველა გამოსვლაზე როდი აქვს რეაქცია სამთავრობო სტრუქტურებს, რაც უარყოფითად მოქმედებს მთავრობის იმიჯზე. მთავრობის სხვადასხვა სტრუქტურებს შორის გამძაფრებული ურთიერთობა ხშირად ხელჩართულ ბრძოლაში გადადის. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ბ. გამსახურდიას მთავრობისა და პარლამენტის განდევნა ტანკების მეშვეობით. მთავრობის იმიჯი დიდად დაზარალებული პოლიტიკოსებზე, რომლებიც უშუალოდ ქმნიან ამინდს სამთავრობო სტრუქტურებში.

პოლიტიკოსი მოწოდებული უნდა იყოს იმისათვის, რომ გააერთიანოს მის ირგვლივ მოსახლეობა და ყველაფერი იღონოს მათ დასაცავად. ნაციონალური ლიდერები მაღალ ღონებზე ფასდება მხოლოდ მაშინ, როცა მათ შეუძლიათ არა მარტო მომავლის წინასწარ განჭვრეტა, არამედ, ასევე, შესწავლა უნარი გაიყოლიონ მოსახლეობა. ხშირად მათ იხსენიებენ თავისებურ „ფანტაზიორებად“. რომლებიც ამუშავენ იდეებს, რომელთა ხორცშესხმა მოსახლეობის მიერ უნდა მოხდეს რეალურ პირობებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლიდერის როლი ქვეყნის კრიზისულ პერიოდში. პარლამენტარი დ. ჰილი აღნიშნავს:

„ვერ ვაყენებთ იმას, შეძლებდა თუ არა მეორე მსო-
მის გადატანას ბრიტანეთი, რომ არ ჰყოლოდა ისეთი პო-
ლიტიკური ლიდერი, როგორც იყო ჩერჩილი. დიდი ოქტომბრის
ლუცია იქნებოდა ისეთი სახის, რომ არ ყოფილიყო ლენინი
კიდევ, საბჭოთა კავშირში დამთავრდებოდა „ცივი ომი“, რომელიც
ყოფილიყო გორბაჩოვი“. პოლიტიკური ლიდერის ავტორიტეტი
იმის შედეგი, რომ ე. შევარდნაძე მოვიდა საქართველოს რეს-
პუბლიკის სათავეში. პოლიტიკური ლიდერი უნდა ცდილობდეს თავის
იმიჯის შენარჩუნებაზე, რაშიც მას PR ეხმარება. ყოველი
დღე, რომელიც იწვევს საზოგადოების უკუჩქვანას, უარყოფით
მოქმედებს პოლიტიკოსის იმიჯზე.

პრინციპში იმიჯი არის მრავალფაქტორიანი ფენომენი, რად-
განა, ერთი მხრივ, ადამიანზე მოქმედება ხორციელდება სხვადას-
ხვა არხების მეშვეობით, მეორე მხრივ კი, ადამიანი ეჩვენება მრავალ-
რიცხოვანი სტრუქტურების გამოყენებას საკუთარი იმიჯის ამ-
ოქმედების მიზნით. პოლიტიკოსის იმიჯი ყველა პარამეტრით უნდა
ესაბამებოდეს მოსახლეობის მოთხოვნებს. აქ საკმარისი არ
აქვს პოპულარობისკენ სწრაფვა. შეიძლება იყოს ყველა სახის საყვარ-
ელი, მაგრამ არ პასუხობდეს იმ დროის მოთხოვნებს.

ექსპრემიერი ე. ჩერნომირდინი პროგრამა „ИТОГИ“-ში (НТВ,
1998-5 აპრილი) აღნიშნავდა, რომ პრეზიდენტის პრეტენდენტ
პოსტზე მისი წარდგენის შემთხვევაში იგი იმუშავებს თავისი
იმიჯის ამაღლებაზე. თუმცა იგი ფაქტურად არ მიიხვედდა მნიშ-
ვლოვან პოლიტიკოსის წინსვლაში იმიჯის ფაქტორს. იგი აღ-
ნიშნავდა, რომ ადამიანის შეფასება უნდა მოხდეს გონებით და
არა ტანსაცმლით. ასეთი შეხედულების იყენებ უმეტესად ძველი პო-
ლიტიკოსები, თუმცა ამჟამად ხანდახანობა ორიენტირებულია იმი-
ჯზე. მითუმეტეს, რომ არსებობს იმიჯის შესაქმნელად როგორც
ძირითადი, ისე დამხმარე ფაქტორები. დამხმარე ფაქტორებს შეგვი-
ძლია მივაკუთვნოთ ალტერნატიული ფუნქციონირება. ეს არის კონ-
ტექსტი, სადაც უხდება მოქმედება ლიდერს.

ძირითადი შემადგენელი ნაწილებია:

- წარსული,
- ოჯახი,
- სპორტი,
- მისაური ცხოველები,
- პიბა.

პოლიტიკოსის იმიჯის ასამაღლებლად იმიჯმეიკრება კარგად
უნდა შეისწავლოს ის ალტერნატიული მასხასიათებლები, რომელ-
ზეც გუსტად ასახავს პოლიტიკოსის იმიჯს. მხოლოდ ასეთ შემთხ-
ვევაში იქნება შესაძლებელი საზოგადოებაზე ზემოქმედება და მათი
ახალი ინფორმაციით შექცება.

პოლიტიკოსების წარსულის შესახებ მოვიყვანოთ რამდენიმე
მაგალითი.

ჯორჯ ბუში იყო საზღვაო მფრინავი. კარგია თუ ცუდია ეს ფაქ-
ტი იმიჯმეიკერის მხრიდან? ერთმნიშვნელოვნად ამაზე პასუხის გა-
ცემა არ შეიძლება. ერთი მხრივ, ჩვენს წარმოდგენაში ეს პროფე-
სია მიუთითებს ადამიანის მოწესრიგებულობაზე, დისციპლინაზე,
გმირულ ხასიათზე. ეს, რა თქმა უნდა, დადებითი მაჩვენებელია.
მაგრამ რადგანაც დრო გვაშორებს ომის მოვლენებს, ე.ი. ხაშს
ვუსვამთ ჯ. ბუშის წლოვანებასაც. ასეთივე პრობლემა წარმოიშვა
ჯონ კენედისათვისაც. იმიჯმეიკერები ცდილობდნენ აქცენტი არ გა-
ეკეთებინათ ომში მის მონაწილეობაზე, რომ მასობრივი ინფორმა-
ციის საშუალებებს ყურადღება არ გაემახვილებინათ მისი ჯანმრ-
თელობის პრობლემებზე. დ.კენედის შესიებული სახე სამკურნალო
პროცედურების უარყოფით ზემოქმედებაზე მეტყველებდა. რელიგი-
ური ნიშნის წამოწევა აშშ-ის პრეზიდენტებისათვის არ იყო აქტუ-
ალური მახასიათებელი. მაგ., რიჩარდ ნიქსონმა საერთოდ აუკრ-
ძალა თავის თანამშრომლებს რელიგიური საკითხების წინ წამო-
წევა. 1980 წელს ამერიკამ პირველად აირჩია პრეზიდენტი, რომე-
ლიც განქორწინებული იყო (რეიგანი). გავისხენით, როგორ
პრობლემები შეექმნა ბილ კლინტონს მეუღლის დაღატის გამო.

გავისხენით ელჟარდ შევარდნაძე, რომელმაც თავისი პოლიტი-
კური მოღვაწეობა დაიწყო კომკავშირული საქმიანობით. მის აღ-
მაჯობას ხელი შეუწყო სოციალურმა წარმოშობამაც, რაც აუცი-
ლებელ ფაქტორს წარმოადგენდა სსრკ-ის სამთავრობო სტრუქტუ-
რებისათვის. მისი იმიჯის შექმნას ხელი შეუწყო ამ პიროვნების
მიმართდასახულმა სწრაფვამ – მოსულიყო სახელმწიფოს სათავეში.
მან თავისი მოქნილი პოლიტიკით საოცარ წარმატებებს მიაღწია.
იგი ერთი ეტაპით ყოველთვის წინ უსწრებდა მოვლენებს, რაც სა-
შუალებას აძლევდა მას ვარირება მოეხდინა აღნიშნულ სიტუაცი-
აში. გავისხენით მისი გამონათქვამი „მზე ჩრდილოეთიდან ამოდის“.

ოჯახი – საბჭოთა საზოგადოებაში ოჯახური მდგომარეობა
ყოველთვის ემიჯნებოდა ოფიციალურ მდგომარეობას. ლენინის ცხ-

ოვრებაში მეუღლე წარმოადგენდა მის განუყოფელ ნაწილს, რას ვერ ეიტყვიტ რუსეთის სხვა ლიდერებზე. ხრუშჩოვი იყო პირველი ლიდერი, რომელიც გაემგზავრა ამერიკაში მეუღლესთან ერთად მისი მეუღლე თავისი ეიზენჰაუერი თვისებებით მთლიანად შეესაბამებოდა მას. შემდეგ იშვიათად ვხვდებით ბრუნიჩის მეუღლეს მობაურობისას. საბჭოთა ლიდერებისათვის მიღებული ეს სისტემა მთლიანად დაარღვია რაისა გორბაჩოვამ. იგი სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობისას მონაწილეობდა მნიშვნელოვან შეხვედრებში. მსოფლიოს ყოველთვის ჰქონდა ემიგრაციისა და ექსკურსიების ცალკე პროგრამა (როგორც ეს მიღებული იყო საბლერაგარეთის მოღვაწეების ცოლებისათვის). იგი თვალყურს ადევნებდა თავის მოღვაწეობას გამშუქებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. მისი ასეთი აქტიურობა უყურადღებოდ არ დარჩენია საბოგადოებას და პოლიტიკურ წრეებს, რაც გამოიხატებოდა რ. გორბაჩოვასადმი მტრულ განწყობით.

აქ ერთმანეთს შეეჯახა აღმოსავლური და დასავლური მოდელები საბჭოთა ლიდერების ცოლები უმეტესად დაკავებული იყვნენ სოციალურ საქმიანობით, რადგან მიხეილ გორბაჩოვამ ბირჩია დასავლური გზა, შესაბამისად, რ. გორბაჩოვამაც ბირჩია ცხადის როლს დასავლური მოდელი. როგორც ცნობილია, დასავლეთის ქვეყნებში სახელმწიფოს მართვაში აქტიურ როლს ასრულებს ლიდერის მეუღლე. პოლიტიკოსი, რომელსაც მოღვაწეობა უხდება ხისტი კონკურენციის პირობებში, ყველანაირად ცდილობს აამოქმედოს მის სელარსებული ყველა რეზერვი. იმ დროს ხშირად შევხვდებოდით ასეთ გამონათქვამს: „მიხეილ სერგეევიჩის“ ნაცვლად „მიხეილ რაისა ვიჩის“. შეიძლება მხრივ, ყველას მესხიერებაში შემორჩა გორბაჩოვის სურათი მეუღლესთან ერთად, რომლებიც დიდი სიყვარულით ახორციელებენ ციყვს. დღეს კი ვხვდებით, რომ ამაში ცუდი არაფერია. 1991 წლის 30/X ტელეგდაცვაში რაისა გორბაჩოვა აღნიშნავდა, რომ გადაჭარბებულია შეხედულება ქსარზე მისი უქსოქმედების შესახებ.

ელეონორა რუმსფელტმა დიდი როლი შეასრულა ქმრის კარიერის ამადლეებაში. ბარბარა ბუში იყო უსაყვარლესი ადამიანი ამერიკელებისათვის. უელსის პრინცესა დიანამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დიდი ბრიტანეთის სამეფო სახლის დადებითი იმიჯის მოპოვებაში. 1980 წელს ჯიმი კარტერმა სთხოვა თავის ცამეტე წლის ქალიშვილს დაესახელებინა ნაკის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა. მან თქვა: „კონტროლი დაწესდეს ატომურ იარაღზე“.

სტეპტიკოსები ამის შესახებ აღნიშნავენ, რომ ქვეყნის ცენტრალურ პრობლემებს უნდა წყვეტდეს ამერიკის პრეზიდენტი და არა მისი ცამეტი წლის ქალიშვილი). ფრიად საინტერესოა მერი სპილენის მოსაზრება პოლიტიკოსების ცოლებზე.

ამერიკის პირველი ლედი ჰილარი კლინტონი, 1992 წელს საპრეზიდენტო კამპანიის დროს, იძულებული გახდა მნიშვნელოვნად შეეცვლა გარეგნული სახე, რადგან საქმიანი ქალის დახვეწილი გარეგნობა მის მეუღლეს საშუალებას მისცემდა მოეპოვებინა ამომრჩეველების მრავალი ხმა. მან სათვალე შეცვლა კონტაქტური ლინჩებით, თავისუფრი თმა შეიღება ოქროსფრად, თავისი გარდერობის უფორმო კოსტუმები შეცვალა ტანზე მომდგარი ტრიკოტაჟის ტანსაცმლით.

ჰილარი კლინტონი ამბობდა: „მე უკვე აღარ მაინტერესებს ჩემი იმიჯი, მე მაინტერესებს ჩემი მისია“.

ექსპრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა ჩვენ ენახეთ თავისი შეილიშვილების გარემოცვაში, რამაც ხაზი გაუსვა მის თვისებებს ოჯახურ ატმოსფეროში, ამან დადებითი გავლენა იქონია მის იმიჯზე. ადამიანები შეეჩვივნენ ლიდერების ხილვას პიჯაკებსა და ჰალსტუხებში, მათ უფრო აინტერესებს ლიდერების თვისებების სხვა კუთხით დახახვა. პირველად ლიდერებიდან საშინაო ტანსაცმელში ხალხმა იხილა ბრეჯნევი, მოგვიანებით კი მ. გორბაჩოვი.

პოლიტიკური სპეკულაციის მაგალითად რუსეთში გახდა ელცინის ქალიშვილი ტატიანა დიჩენკო. გ. იავლინსკი აღნიშნავდა, რომ იგი იკავებს უფრო და უფრო მეტად აქტიურ პოზიციას კრემლის საბოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში.

ბ. კლინტონის ქალიშვილი ჩელსიყ ასევე მოექცა პოლიტიკის გარემოცვაში. იგი გახდა ვეგეტარიანელი იმის გამო, რომ გატაცებული იყო ბალეტით. 2000 წელს ჩელსი მოგზაურობდა ჰილარი კლინტონთან ერთად და გაიარა 20000 კმ. იგი მშობლებთან ერთად იხილა ხალხმა ანტლანტაში ოლიმპიადებზე. ჩიკაგოში – დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე, იმოგზაურა პრეზიდენტ კლინტონთან ერთად წინასაარჩევნო მარათონის მიმდინარეობისას. ყოველივე ამას არ გამოუწვევია ამერიკის მოსახლეობის გადამიანება (4 თებერვალი, „კომსოზოლსკაია პრავდა“). ასეთი კმაყოფილების გრძობა არა მგონია გამოეხატა რუსეთის ამომრჩეველებს იმის გამო, რომ ბ. ელიცინის შვილიშვილი განათლებას ღებულობდა ძვირადღირებულ ინგლისის სკოლაში, რადგან მათ შეგნებაში პოლიტიკის

ჩარჩოებში არ არსებობს საკუთარი ცხოვრების გაგება, ყველაფერი ლიდერისათვის უნდა იყოს საზოგადოებრივი მნიშვნელოვანი. სპორტი – პოლიტიკოსს იმიჯის შექმნაში ღიად ეხმარება დამოკიდებულება სპორტისადმი და პირადი სპორტული მონაბოძი. სპორტს შეუძლია შექმნას ადამიანის სახე, რომელსაც შეუძლია გაათავიფიცო იეროს ახალგაზრდობის პრობლემები. ინაში პირველი საპრემიუმენტო არჩევნების დროს იგორ იუხნის მხარდამჭერებმა გააერცვლეს ფოტო, სადაც აღბეჭდილი მისი მონაწილეობა მარათონში. ამით ისინი ცდილობდნენ ყურადღება არ გაემახვილებინათ ამომრჩეველებს მის წლოვანებაზე. აღინიშნოს, რომ წლოვანება არის პოლიტიკოსისათვის ძალიან მნიშვნელოვანი პარამეტრი. ჯონ კენედი ცდილობდა იმა შეეცდინა, რომ მომბატებოდა წლოვანება. როლანდ რეიგანს ადამიანები უნდა ეჩვენებინათ, რომ იგი იღებოდა იმას, რათა ახალგაზრდა გამოჩენილიყო.

რუსეთის პოლიტიკოსების უმეტესი ნაწილი უპირატესობას ანიჭებენ ტენისს. რუსეთის სიმბოლურ ტენისის გუნდს სათავეში ედვინ ბ. ელცინი, ტენისით არის გატაცებული ნურსულთან ნაზარბაევი. ალექსანდრე ლუკაშენკო. სპორტმა ერასხელ იხსნა ელცინი საზოგადოების ინტერპრეტაციისაგან, როცა იგი სახალხო ლეპუტატად გამოვლინდა. ყოველივე გამოცხადდა არაბუნებრივი თმის ვარცხნილობით. პრემიუმენტო შედეგ ცდილობდა გაექარწყლებინა ყალბი ხმები და თაობაზე, რომ ელცინი სხლომბათა დარბაზში თათქოსდა მოვლენისათვის თამაშის შემდეგ.

ამომრჩეველების სიმპათია ვლ. პუტინის მიმართ ამაღლდა იმდენად, რომ სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა სპორტული აღნაგობის სპორტული მონაცემების პიროვნება, რომელიც თავისი ფიზიკური მომზადებით და ახალგაზრდული შემართებით შეძლებს ქვეყნის უკეთესად ხელმძღვანელობას.

ესადა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური კარიერის მისაღწევად მნიშვნელოვანია ჯანმრთელობა. რონალდ რეიგანი ყოველდღე ცდილობდა დილის 5 საათზე და მეყადინებოდა ათლეტიკაში, რათა თავიდან აეცილებინა სიმსუქნე და პქონოდა ახალგაზრდული შესაძლებლობა.

შეგვიძლია მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: მ. რასტრაპოვიჩმა და გ. ვინჩესკაიამ საქთალური პრესკონფერენციაც კი ჩაატარეს ბ. ელცინის ჯანმრთელობის შესახებ, როდესაც 1998 წელს, გაციების გამო იგი მოათავსეს საავადმყოფოში.

რადგან ქვეყნის ლიდერი მუდმივად დაკავშირებულია ხალხთან, კერძონის საშუალებით, მისი აუადმყოფობა, ბუნებრივია, შეუმჩნეველი არ რჩება საზოგადოებას.

შინაური ცხოველები. პოლიტიკოსის ცხოვრებაში იმიჯის ამაღლებისათვის მნიშვნელოვანია შინაური ცხოველების სიყვარული. ერთი საინფორმაციო გადაცემაში ლ. კრაიჩუკის კავკასიური ნაგაბის ჩვენებამ სიმპათიით განაწყო საზოგადოების ნაწილი მის მიმართ. ერთხელ, ჯორჯ ბუშის მოგზაურობიდან დაბრუნებისას, მას აეროპორტში ხალხთან ერთად მისი ორი ძაღლიც დახვდა, რასაც იმიჯ-მეიკერებმა განსაკუთრებული ყურადღება მიუქციეს. პოლიტიკოსების შინაური ცხოველებისადმი დამოკიდებულების შესახებ მრავალი საინტერესო ჟურნალისტური ჩანახატი იქნა გამოქვეყნებული.

აშშ-ში 15%-ით მეტია კატების მეპატრონეები, ეილერე ძაღლების. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს 42 პრემიუმენტოიდან 33-ს ჰყავდა ძაღლი, კატა კი – სამს (კლინტონის ჩათვლით). 1927 წლიდან კლინტონმა აიყვანა ლეკვი, რომლის სახელის დარქმევაზე თეთრ სახლში 3000-მდე წინადადება მოიქცა. ბოლოს ლეკვს დაარქვეს პრემიუმენტის ბაბუის სახელი ბადი, რომელიც 50 წლის განმავლობაში ზრდიდა ძაღლებს.

დასავლეთის პროფესიონალები ამტკიცებენ, რომ იმიჯის შექმნა ხდება არა აბსტრაქტული მონაცემებით, არამედ პიროვნების ცხოვრების განსაყვიფრებელი ფაქტებით. ინგლისის დედოფალს ელიზაბეტს უყვარს ესენები, უინსტონ ჩერჩილი ეთაყვანებოდა თავის პუელს რუფუსას. ამერიკის პეულს თაობის წარმომადგენლები დღესაც იხსენებენ თეოდორ რუზველტის სიყვარულს მისი ძაღლის ფალის მიმართ.

იმიჯ-მეიკერებმა გამოიყენეს სამეფო ოჯახის პუელი და მას სურათი გადაუღეს მარგარეტ ტეტჩერთან. რონალდ რეიგანი კალიფორნიამი, თავის რანჩოში ცხენზე ამხედრებული პომირება ფოტოგრაფების წინაშე. მსგავსი სიტუაციები ყოველთვის მომტეზიანია პოლიტიკოსისათვის, რადგან იგი ავლენს მის კიდევ ერთ დაღებით თვისებას – ცხოველების მიმართ სიყვარულს.

ჰობი – ეს არის პიროვნების სიყვარული. ინტერესი რაიმესადმი, რომელიც ამ პიროვნებას ანიჭებს დიდ სიამოვნებას და უქრობს დაუკმაყოფილებლობის გრძნობას. მაგალითად, ლეონიდ კრაიჩუკი დიდ ინტერესს იჩენდა ჭადრაკისადმი, ლუიჯ ვინჩესკაური ხატავდა, უინსტონ ჩერჩილს უყვარდა აგურების დაწყოება, ჯორჯ ბუშს

- თევზაობა. ინგლისის პრემიერ-მინისტრს ელუარდ ჰიგს უკმაყოფილოდ სეირნობა. ლეონიდ ჯონსონს - თავისი „ლინკოლნის“ ქანით მაღალი სიჩქარით (120 კმ/სთ) მოძრაობა. ლეონიდ ჯონსონს ძალიან უყვარდა ავტომობილები. იური ანდროპოვიც ცეცხლი იყო ინგლისური ენით. ლექსების თხზვით, ვისკით.

უნდა აღინიშნოს, რომ ჰობი ლიდერისათვის არის დამატებითი მახასიათებელი, რომელიც არამც და არამც არ ცელის ძირითად მახვევებებს. ბილ კლინტონის გატაცება საქსაფონით ან ლეონიდ ჯონსონის კუქმას დაკვრა გიტარაზე მხოლოდ დამატებით ეხმარება იმიჯის ამაღლებას, მაგრამ არასოდეს არ გახდება იგი ძირითად მახვევებელი. ზოგ შემთხვევაში ასეთმა ინფორმაციამ შესაძლოა ხელი შეუშალოს ლიდერის იმიჯს. მაგ., რონალდ რეიგის ხელს უშლიდა წარსულში მისი მსახიობობა. ორატორული გამართებისას ოპონენტები მასზე ამბობდნენ: „რა თქმა უნდა, ის მსახიობია“.

ესევე შირაკს ბაქოში იმპრესიონალიზმში რუსი ჰყავდა. 1998 წელს მან ჟურნალისტებთან ინტერვიუში განაცხადა „დამისახველეთ მსოფლიოს ერთი პრეზიდენტი მანინჯ. რომელსაც წაკითხული მითლიანად პუშკინის ნაწარმოებები“.

პრეზიდენტები ცდილობენ იმგზავრონ თავიანთი ქვეყნის მოქალაქეების მანქანებით, თუმცა 40 სახელმწიფო მეთაური უპირატესობას ანიჭებს „მერსედესს“. ინგლისის დედოფალი დედის „როსროისი“-ს მანქანით, იაპონიის იმპერატორი „ნისანით“, საფრანგეთის პრეზიდენტი „სიტროენით“, პუტინი - „ბილით“.

იმისათვის, რომ ლიდერი უფრო დაუახლოვდეს თავის ამოცანებს, აგი ხშირად იყენებს კინომსახიობებს, პოპვარსკელებს, გამომჩენილ ადამიანებს, რომელთა მხარით ხალხი სიყვარულს სიმპათიას აქვთ. თავის მხრივ, ვარსკელებიც ცდილობენ ასეთი ურთიერთობის დამყარებას, რადგან მათთვის სულ ერთია, ეყრდნობა ხელისუფლების სათავეში. ხელისუფლების წარმომადგენლებთან კულტურის მუშაკების შეხვედრა ყოველთვის მოსახლეობის ყურადღების ცენტრშია. თავისი იმიჯის ასამაღლებლად ამათ ხშირად იყენებს საქართველოს პრეზიდენტი ე. შვედარდნაძე. იგი წინა საარჩევნო პერიოდში ხელედა მსახიობებს, მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, მხვედველობაში იღებს მათ მოთხოვნებს და სურვილებს, რაც დადებითად მოქმედებს მის იმიჯზე.

ყველა ზემოთ აღნიშნულ სიტუაციაში იმიჯმეიკერის საერთო ამოცანაა, ლიდერისათვის სასარგებლო თვისებებზე ყურადღების გაზიარება. მაგალითად, სტალინის ასკეტური სახე იმ დროისათვის იყო უფრო მნიშვნელოვანი და ხელსაყრელი, ვიდრე ლ. ბრეჟნევის საწინააღმდეგო ცხოვრების წესი. ლიდერის საზოგადოებასთან დაახლოება ამაღლებს მოსახლეობის ნდობის ფაქტორს ხელმძღვანელისადმი, ხოლო თვით ლიდერს ეხმარება წინააღმდეგობრივი ბარიერის გადალახვაში.

9.2. იმიჯი ბიზნესში

ბიზნესის ზოგიერთი სფეროს განვითარება შეუძლებელია მოსახლეობასთან ურთიერთობის გარეშე. საზოგადოების ამრიგ განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ეკონომიკური გარდაქმნების ჩატარების დროს. უმეტეს შემთხვევაში, ეკონომიკური ცვლილებების დროს, მოსახლეობა იკავებს ოპოზიციურ მხარეს, რადგანაც იგი ეერ ათვისიყნობიერებს ჩატარებული გარდაქმნების სიკეთეს. ასეთ შემთხვევაში ბიზნესის განვითარების ხელშეწყობს საშუალებას წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობა, რაშიც ლომის წილი მიუძღვის ფაბრიკ რილეიშენსს. PR ეხმარება დაინტერესებულ პირებს მუშაობისათვის სასურველი კონტექსტის შექმნაში, რეპუტაციისა და პრესტიჟის ამაღლებაში.

ბიზნესის ლიდერების იმიჯი რეალურად ასახვას პოულობს თანამშრომლობის, თავისი კლიენტების ყურადღებაში. პირიქცა, რომლის იმიჯი არ შეესაბამება სათანადო მოთხოვნებს, დიდხანს ვერ ვააგრძელებს კარიერას ბიზნესში. იმიჯი არის არა იმდენად ყურადღების მიპყრობის საშუალება, რამდენადაც თავისი აუდიტორიის მოთხოვნებისადმი რეაგირების საშუალება. აუდიტორიას აქვს სურვილი დაინახოს ბიზნესის ლიდერი ისეთი, რაოდენივე მას სურს. ამასი კი ლიდერს დახმარებას უწევს PR. PR აიძულებს ადამიანს, იყოს ჭკვიანი, მომხიბვლელი, ისეთი, რომელსაც შესაძლებელია ენდო.

ბიზნესის სხვადასხვა სფეროში ლიდერის იმიჯის ასამაღლებლად აუცილებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის რეგულირება: ბიზნესმენი უნდა მონაწილეობდეს მთელ რიგ საზოგადოებრივ ღონისძიებებში, როგორც კულტურულ, ისე საგანმანათლებლო

პროგრამებში. მას უნდა შეეძლოს ღონისძიებების დაფინანსების უზრუნველყოფის დახმარების გაწევა. ბიზნესმენის ასეთი მოქმედება პათიით განსაზღვრულ საზოგადოებას მის მიმართ.

დასავლეთის გამოცდილება გვასწავლის, რომ რაც უფრო დასავლეთში აკმაყოფილებს პრეტენზიას ფორმა, მით უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს მისი პოზიციის მასობრივ კომუნიკაციაში.

ცოდნის მნიშვნელოვან ნაწილს პიროვნება ღებულობს არა მხოლოდ პირადი გამოცდილებით, რამდენადაც მასობრივი კომუნიკაციის გზით. აქედან გამომდინარე, ადამიანის იმიჯის ფორმირება ხდება ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, მასობრივი კომუნიკაციის არხის მოთხოვნების შესაბამისად, მეორე მხრივ, იმ მასობრივ საშუალებების განსაზღვრით, რომელსაც აუდიტორია თვლის მნიშვნელოვანად. პიროვნება ვიზუალურ ინფორმაციებს ღებულობს ტელევიზორული და აუდიოვიზუალური საშუალებებით, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან რესურსს იმისთვის ფორმირებაში. კომუნიკაცია საშუალებას აძლევს პიროვნებას დახვეწოს ჩაქმის მანერა, მიმზიდველი გახადოს მოხელევა, ეესტი, მიმიკა, პოზა, შეიცვალოს თმის ვარცხნილობა და ა.შ. ინფორმაციის 59%-ის ღებულება შეუძლებელია სიტყვებით ამ მონაცემებით ადამიანი აკეთებს ძირითად დასკვნებს, რადგან ცნობილია, რომ თანამოსაუბრის შეფასება ფორმირდება პირდაპირ თხუთმეტი წამის განმავლობაში.

აუდიტორია ამ მახასიათებელიდან ყველაზე მნიშვნელოვანად თვლის: ავტორიტეტს, პროფესიონალიზმს და ხელობას. ცალკე შემთხვევებში ეს მახასიათებლები შესაძლებელია განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, მაგრამ მნიშვნელოვან ნაწილში - ერთხვეობით ერთმანეთს. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ქვემოთ მოცემული შეფასებები PR-ის სპეციალისტების აზრი.

მათ ჩაატარეს სოციოლოგიური გამოკითხვა: „შესაძლებელია თუ არა კოლის ნახშირი მანქანის ყიდვა?“ უმეტესობა ნაწილში დადებითად უპასუხა. ეს არის გერმანიისათვის ნდობის მაღალი დონის დასავლეთის პოლიტიკოსები ნდობის უაქტორს ყველაზე საპასუხისმგებლოდ თვლიან. ამისკენ უნდა იქნებოდნენ ბიზნესმენები. თუ ბიზნესმენს უნდა ხაზის, უფრო წარმატებული ხდება ბიზნესმენის საქმიანობა. იგი არ უნდა ეწეოდეს ჩაკეტილ ცხოვრებას, ყურადღებას უნდა აქცივდეს სხვა ბიზნესმენების წარმატებას თუ წარუმატებლობას და ითვალისწინებდეს პირად საქმიანობაში. PR-ის სპეციალისტების დახმარებით იქმნება ის საშუალებები, რომლითაც მე-

საკუთრები და ინვესტორები კმაყოფილნი რჩებიან ინვესტორული კაპიტალის დაბრუნების გამო.

აშშ-ში 60-70 წლებში იმიჯოლოგიას და PR ბიზნესში ნდობას საზოგადოება ნაკლებად უცხადებდა, რადგან თვლიდა, რომ ბიზნესის განვითარება ემსახურებოდა მხოლოდ დაინტერესებულ ერთეულ პიროვნებებს. ამჟამად საქართველოში სიტყვა „კომერსანტი“ იწვევს მოსახლეობაში უარყოფით ასოციაციას. ამიტომ ბიზნესმენის მიზანია დაარწმუნოს მოსახლეობა ბიზნესის სიკეთეში. ამაში მას დაეხმარება PR.

ბიზნესში იმიჯის შექმნის ტრადიციული სფერო გახდა ქველმოქმედება. მოსახლეობა ყოველთვის დადებითად რეაგირებს პიროვნებებისა და ორგანიზაციების მიერ გაწეულ დახმარებაზე.

საინტერესო სოციოლოგიური სურათი შეიქმნა დიდ ბრიტანეთში პრინცესა დიანას გარდაცვალების შემდეგ. კითხვაზე, ვის უფრო მეტად უწევს ექსპლოატაციას მისი გარდაცვალება, გამოკითხულთა პასუხები შემდეგნაირად გადახაზილდა: მასობრივი ინფორმაციის საშუალებები - 89%, საქველმოქმედო ინდუსტრია - 62%, მთლიანად ბიზნესი - 61%. ფართო მასები - 36%, მთავრობა - 17%. დღეს, როცა დიანას ფაქსიმელია გამოჩნდა მარგარინის „ფლორას“ ყუთზე, ამან ხალხის აღშფოთება გამოიწვია. გამოკითხულთა 94%-მა ჩათვალა, რომ დაუშვებელია მარგარინზე პრინცესა დიანას ფაქსიმელის დაბეჭდვა.

უაბლიქ რილეისენის ამერიკელი ავტორები თვლიან, რომ PR-ის სპეციალისტს უნდა შეეძლოს:

- შექმნას შესაბამისი პირობები გადაწყვეტი ღონისძიების მისაღებად.
 - მხარი დაუჭიროს საქველმოქმედო კამპანიას, შეძლოს მათთვის ბეჭედითი და აუდიოვიზუალური მასალის მომზადება.
 - უჩველმბღვანელოს კომპანიას, პროექტებს, შეძლოს მაღალრინოსანი ოფიციალური პირების შეცვლა ცერემონიებზე.
 - თვალყური ადევნოს საზოგადოების მიზნებს, რათა მათი გამოყენება შეძლოს დაინტერესებულმა ფირმებმა და კორპორაციებმა.
 - დაეხმაროს კორპორაციებს და ფირმებს მართვაში.
- PR ეხმარება კორპორაციებს ფინანსური სფეროს მოწვევრიგებში. მას შეუძლია შეასრულოს შემდეგი ფუნქციები:

- განსაზღვროს მეანობის, ფინანსური ანალიტიკოსის სახელმწიფო ჩინოვნიკების და კანონმდებლების დამოუკიდებლობა კომპანიისადმი.
- მოამზადოს რეკომენდაციები კომუნიკაციური სტრატეგიის მუშაებისათვის.
- მოეხმაროს ტექსტური პროდუქციის შექმნაში (წერილობითი და ყოველდღიური ანგარიშები და სხვა).
- მოამზადოს საინფორმაციო მასალა თათბირებისა და პრეზენტაციისათვის.
- მოამზადოს მასალა საფინანსო გამოცემებისათვის. ამერიკელი მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ბიზნესის სფეროში გვხვდებიან პოტენციური და რეალური კლიენტები. ამის გამო ბიზნესმენებს უხდება როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციური ამოცანების გადაჭრა.

შიდა ამოცანებად ამერიკელი მკვლევრები თვლიან:

- ნდობის ატმოსფეროს შექმნას კლიენტსა და მომსახურებელს შორის.
- გულახდილი ინფორმაციის ნაკადის ორგანიზაციას, რომელიც თავისუფლად უნდა ვითარდებოდეს როგორც ვერტიკალურად, ასევე ჰორიზონტალურად.
- მუშაობის უზრუნველყოფას კონფლიქტის გარეშე.
- ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნას.
- წარმოებისათვის წარმატების მიღწევაში დახმარებას.
- მომხმარებლის მიმართ ოპტიმისტური განწყობის მხარდაჭერას.

PR-ის მიზანმიმართული გამოცდის ასევე მარკეტინგის მხარდაჭერად. ამ სფეროში ამერიკელი სპეციალისტები თვლიან შემდეგ ამოცანების შესრულების აუცილებლობას:

1. ახალი პროდუქციის გამოშვებასთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელება.
2. გამოშვებული პროდუქტისა და მომსახურების წინ წაწევა.
3. კომპანიისათვის ხელსაყრელი იმიჯის შექმნა.
4. საზოგადოებრივი აზრის შესწავლა.
5. გამოფენების მოწყობაში და კონფერენციების ჩატარებაში დახმარების გაწევა.

ბიზნესის წარმატებულად განხორციელება შეუძლებელია, თუ არ ჩატარდება მუშაობა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის, რაშიც დახმარებას გაუწევს PR.

9.3. ორგანიზაციის იმიჯი

თითოეული ორგანიზაციის არსებობის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს იმიჯის შექმნა. დამოუკიდებლად იმისა, თუ რა სიდიდის ორგანიზაციაა, მკაფიო იმიჯი აუცილებელია კლიენტებთან ურთიერთობის დასამყარებლად. გარკვეული იმიჯის გარეშე შეუძლებელია აუხსნა კლიენტებს, თუ რას წარმოადგენს მათი ორგანიზაცია და რა მიზნებს ემსახურება იგი.

ნდობა, რეპუტაცია, სოლიდურობა არის ის მიზნები, რომლის მიღწევისაც ცდილობს იმიჯმეიკერი ორგანიზაციასთან მუშაობის დროს. უკანასკნელი მონაცემებით, მოთხოვნა ორგანიზაციის იმიჯმეიკერებზე გაიზარდა 18%-დან 82%-მდე. დასავლეთის ქვეყნების იმიჯის კომპანიები ცდილობენ ხანგრძლივი პერიოდით მოახდინონ ბაზარზე ჩვენს ბაზარზე, რათა იყვნენ უფრო მშვიდად. ეს გამოწვეულია იმით, რომ 40 მილიონიანი შემოსავლის მქონე კომპანიის მატერიალური აქტივი 7,2 მილიონია.

ორგანიზაციებისათვის არსებით მახასიათებლებს წარმოადგენს ვიზუალური სურათის მთლიანობა. მაგალითისათვის მოვიყვანოთ მაგლონალსი, რომელიც იყენებს თავის ტერიტორიას საკმაოდ ინტენსიურად. ნაგვის ურნებზეც კი, რომლებიც მისი ტერიტორიის ტროტუარებზე დგას, არის კომპანიის ემბლემა. მომსახურე პერსონალი იყენებს ერთი ტიპის ფორმას. ი. აკოვლევი აღნიშნავს, რომ მაგლონალსმა გაყიდვიდან მოხსნა 10 მილიონი ათონა, რომელსაც იგი ყიდდა საჭმელთან ერთად. საიამსაშობი სცნეს ბავშვების ჯანმრთელობისათვის სახიფათოდ და კომპანიას არ შეეძლო მომხმარებლის ნდობის გამო რისკის გაწევა.

უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციის შემთხვევაში იმიჯი არ შეიძლება ატარებდეს აბსტრაქტულ ხასიათს. ტელევიზორის ეკრანზე არ უნდა მოხვდეს ისეთი მასალა, რომელიც არ ასახავს რეალურ სურათს. ტელევიზიაში უნდა გადაიყვანოს ორგანიზაციის შესახებ კონკრეტული სიახლეები, რომელაც უნდა ატარებდეს ინფორმაციულ სახეს. გადაცემის დამონტაჟება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ აისახოს კორპორაციული იმიჯის საჭირო ასპექტები.

ორგანიზაციის იმიჯი ფლობს განსაზღვრულ ეკონომიკურ ტენციას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფინანსური ტუკციებისათვის, სადაც ნდობის დონე წარმოადგენს ისეთივე სუბსიდებლოს, როგორც მისი მუშაობის სხვა მატერიალურ ვენებლები. როლ ბრეირი, Deutsche Bank AG - ევროპაში ერთი მსხვილი ბანკის ხელმძღვანელი, ამბობდა, რომ ბანკის მუშაობა მისთვის იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა. მნიშვნელობა დღეისათვის აშკარად იზრდება, რაც გამოწვევას ჩვეულებრივ მაცხოვრებელზე გამრდილი კომუნიკაციური ნაბიჯებით. აღმზინს უხდება დიდი რაოდენობის მასობრივი ინფორმაციის ვადამუშაებება, საიდანაც იგი არჩევს მალალი იმიჯის ინფორმაციას.

პოლი ბერდი აღნიშნავს, რომ „თითოეულ ორგანიზაციას იმიჯი, რომელიც მას სურს გადასცეს საზოგადოებას. იგი მოეუფექტურობას, სინქარეს, ყურადღებას, ნაციონალურ მასშტაბს მუშაობას და სხვა მრავალ ასპექტს. ორგანიზაციის პირადი მსათყებელი განისაზღვრება იმ პოზიციით, რაც მას უკავია და რა ხითაც გადაეცემა ეს პოზიციები მასმედიის გამოყენებით საზოგადოებას. თუ როგორ დებულაბს საზოგადოება ორგანიზაციას, ჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ამ ორგანიზაციის მიერ გამოცემული პროდუქცია“.

იმიჯის შექმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პარტიული ორგანიზაციებისათვის. მათი ამჯამე ძლიერ მოქმედებს ქვეყანაში არსებული სიტუაცია. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ლეიბორისტული პარტია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იყო ოპოზიციამში, პრელად, საკმაოდ რთულ კონტექსტში მიიწედა ხელისუფლებისაკენ. ჩვენს ქვეყანაში. სადაც არასტაბილური სიტუაცია და მუდმივად უარესდება ეკონომიკური კონტექსტი, ლეიბორისტული პარტია მომგებიან სიტუაციაშია. თუ დიდ ბრიტანეთში ამოწმებული ირჩევს ისეთ პარტიას, რომელიც უფრო უსაფრთხოებას გარანტიას იძლევა, ჩვენთან ეს პირიქითაა. უნდა აღინიშნოს, რომ ლეიბორისტული პარტიის ახალმა ლიდერმა ტ. ბლერმა შეძლო გამოეყენა თავისი პარტია მსგავს უსაფრთხო დონეზე. მარგარეტ ტეტჩერი სახელმწიფო სათავეში მოვიდა 1979 წელს. მან დიდ ბრიტანეთში პირველმა გამოიყენა ამერიკული სტილის პოლიტიკური კამპანია, როცა საკმაოდ აქტიურად წარმოადგინა ფირმის „სანდენდ სანის“ მიერ შექმნილი ნეგატიური რეკლამა. პლაკატზე ნაჩვენა

ნები იყო უმუშეართა რიგი წარწერით - უმუშეარი ლეიბორისტები. ეს კამპანია 1992 წელსაც გამოვლიდა. ანალოგიურ შემთხვევებს ვხვდებით საქართველოს რესპუბლიკაში. სახელმწიფო სათავეში მოსვლას ეკილებიან სხედასხეა თომიციური პარტიები: ლეიბორისტები, აღორძინება, ნაციონალ-დემოკრატები, მრეწველობა და ბარჩენს საქართველოს. ყველა პარტიის პროგრამაში წითელ ხაზად გასდევს მოსახლეობისათვის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს ის ორი ძირითადი მოწოდებაა, რომელიც ასე აღელეებს ხალხს.

პარტიის იმიჯის ამაღლებისათვის ყველა ქვეყანაში მუშაობენ მალალი დონის PR-ის პროფესიონალები. პარტიის იმიჯის ამაღლებისათვის პარტიის რიგებში შეჰყავთ კომპოზიტორები, კულტურის მუშაკები, გამოჩენილი ბიზნესმენები და სხვა.

დიდ ბრიტანეთში ლეიბორისტულმა პარტიამ საარჩევნო მართონი 1992 წელს მეოთხედ წააგო, მიუხედავად იმისა, რომ მას წინასწარი მონაცემებით 3%-იანი უპირატესობა ჰქონდა, წააგო 8%-ით. ლეიბორისტების წარუმატებლობა გაგრძელდა მანამ, სანამ პარტიულ ორგანიზაციას სათავეში არ ჩაუდგა ტ. ბლერი. იგი აკეთებს საინტერესო განცხადებას, რომ ის პოლიტიკაში მოვიდა არა ლეიბორისტული პარტიის შესაცვლელად, არამედ ქვეყნის ცხოვრების დონის შესაცვლელად. ამ ფაქტმა კონსერვატორების გაღიზიანება გამოიწვია, თავიდან ტ. ბლერს იხსენიებდნენ სხედასხეა „კლიჩებით“: ბემბი, სტალინი. ამამე ტ. ბლერი აღნიშნავდა „წინა წელს ვიყავი ბემბი, წელს კი - სტალინი. დისნიეილნიდან დიქტატორამდე მისვლისათვის 12 თვე დაჭირდა, სიმართლე გითხრათ, მე სახელი ბემბი უფრო მომწონს“.

ტ. ბლერის ლიდერობაზე დიდი გავლენა მოახდინა პარტიის იმიჯმა. პარტია გამოდიოდა ახალი ლოზუნგით „ახალი ლეიბორისტები, ახალი ბრიტანეთი“. მათი შეცვალეს წესდების ნაწილი, რომელიც მიღებული იყო 1918 წელს, რამაც გავლენა იქონია არჩევნების შედეგებზე. ამომრჩეველთა 50,9%-მა ხმა მისცა ლეიბორისტულ პარტიას. როგორ მუშაობდნენ ლეიბორისტები პარტიის იმიჯის ასამაღლებლად?

1985 წელს პარტიაში დაინიშნა კომუნიკაციის დირექტორი პიტერ მენდელსონი. ის ბლერთან ერთად სწავლობდა ოქსფორდის უნივერსიტეტში. იგი ტ. ბლერის გამოსვლებს ამზადებდა კონსერვატორების რეალური კრიტიკის სახით, მან წითელი დროშა შეცვალა

ვარდისფერით, თუმცა 1987 წელს ამ პარტიამ მოაგროვა 30,8%. მიუხედავად ამისა, ტ. ბლერი თვლიდა, რომ ეს იყო ტიპსათვის ახალი ერის დასაწყისი. 1983 წელს არჩევნებში გამარჯვებულ კონსერვატორ ნეილ კინოკე ლეიბორისტებმა მიც კი გადაიღეს, რათა დაემყინებინათ მისი რეპუტაცია. ამ პარტიას შორის ბრძოლა დინამიკურ ხასიათს ატარებდა. მაგ. თისათვის, როცა ნ.კინოკე გამოვიდა განარაღების ლოზუნგით ლეიბორისტულმა პარტიამ გამოუშვა რეკლამა წარწერით: „ლეიბორისტული პოლიტიკა შეიარაღების საკითხზე“. რეკლამაზე გახატული იყო ხელებაწეული ბრიტანელი ჯარისკაცი.

ლეიბორისტული პარტიის იმიჯის შექმნას ხელი შეუწყო მადლიამ. ამ პარტიამ დახარჯა ორი მილიონი ფუნტი იმისათვის, რომ მიეღო ორი სართული პარლამენტის შენობის გვერდით, საკუთარ სუპერ თანამედროვე მედია ცენტრის შესაქმნელად.

პარტიას შეუძლია თავისი იმიჯის ამაღლება იმ პირობებში, როცა გარემო სიტუაცია მის წინააღმდეგ მუშაობს. ამ დროს საჭიროა პროფესიონალური PR-ის სპეციალისტების ჩართვა, რათა კონკურენტუნარიანი გარემოში პარტიულმა ორგანიზაციამ შეძლოს იმიჯის სტაბილურობის შენარჩუნება. ამის შესახებ ბ.ბრიტანეთის აკადემიის რამდენიმე საინტერესო დასკვნას:

1. არასაპრემიენტო სისტემაში პარტიას აქვს უფრო მნიშვნელობა, ვიდრე მის ლიდერს.
2. არაპოპულარული პარტიის საპატიეცემლო და პოპულარული ლიდერი არჩევნებში უთუოდ დამარცხდება.
3. პოპულარული პარტიის არაპოპულარული ლიდერი არჩევნებში უთუოდ გამარჯვებს.
4. ვერც ერთი იმიჯმეიკერი ვერ შეძლებს პარტიის ლიდერის იმიჯის გაუმჯობესების იგნორირებას, თუ ამას იგი აკეთებს სხვა პარტიის პოლიტიკის უპირატესობის წარმოჩენის სახაყველო იმიჯმეიკერის ასეთი მოქმედება არ არის სწორი.
5. ამომრჩევლები ლიდერის არჩევანს აკეთებენ წინა საარჩევნო დაპირებების გათვალისწინებით და არა ამა თუ იმ სფეროში ლიდერის მოღვაწეობით.

ორგანიზაციის იმიჯი საპასუხისმგებლოა არა მარტო პარტიისათვის. არამედ ბიზნესის შემთხვევაშიც. ამის თაობაზე საინტერესო მაგალითი მოჰყავს გ.კესონს, როცა ამბობს, რომ მომუშავეთა ყოველთვის არ შეუძლია გაყიდოს საქონელი, მაგრამ უნდა შეეცადოს იმის საშუალება, რომ „გაყიდოს“ თავისი კომპანია.

დავუშვათ, რომ თქვენ მიხვედით თეატრში, რათა იყილოთ ბილეთი. მოლარე, უხმოდ, თავის აწვევის გარეშე გაძღვეთ ბილეთს. მან გაყიდა ბილეთი, მაგრამ არ „გაყიდა“ თეატრი. თქვენ გიჩნდებათ სურვილი, კიდევ ერთხელ მიხვიდეთ თეატრში. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ ეძებთ მაღაზიაში განსაზღვრული ფორმისა და ფერის საფულეს. მოძლიმარე გამოიღველი დაწვრილებით გვეთხებით თქვენი სურვილის შესახებ, ათვალიერებს მსგავს საქონელს და ამბობს: „ვეწუხვარ, რომ ამჟამად ჩვენ არ გვაქვს ის, რასაც თქვენ ეძებთ“. მან არ გაყიდა საფულე, მაგრამ „გაყიდა“ მაღაზია. კლიენტი აუცილებლად მოეა კიდევ მაღაზიაში.

ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნიკაციურობის უნარს ბიზნესში.

ორგანიზაციის იმიჯი იქმნება იმ ფასეულობის ჩარჩოთი, რომელითაც ერთი ადამიანი აფასებს მეორეს. ამიტომ იმიჯმეიკერის ამოცანაა ორგანიზაციის „გაადამიანურება“ საზოგადოებასთან კომუნიკაციის გზით. ასევე, უნდა აღინიშნოს ორგანიზაციისათვის ისეთი ასპექტის მნიშვნელობა, როგორცაა კრიზისული კომუნიკაცია. ის დადებითი იმიჯი, რომელიც ხანგრძლივი მუშაობით იქმნება საზოგადო მოღვაწეების მიერ, შეიძლება დაზარდოს ერთი დღეში. ამ მიზნით ევროპარლამენტსაც კი ჰყავს სწრაფი რეაგირების ჯგუფი, რომელთა ამოცანაა საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდება საჭირო ადგილას, რისთვისაც მათ უწევთ სიტუაციის სერიოზული მორიტორინგის წარმართვა, მრავალი საინფორმაციო ფაილების შექმნა.

ორგანიზაციამ უნდა შექმნას თავის ირგვლივ დადებითი ფონი. შეგვიძლია მოვიყვანოთ კლასიკური მაგალითი. გამოჩენილმა კომპოზიტორმა ჯ. ვერდიმ მიიღო დაკვეთა ოპერა „აიდას“ შექმნაზე. იმის გამო, რომ ეგვიპტის მეფემ გადაწყვიტა დიდი ზემოთ აღენიშნა სუეცის არხის გახსნა. ეს ტრიუმფი შედგა. ტრიუმფი არხისა და ტრაუმის ოპერის. ეს იყო ეგვიპტის მეფის იმიჯის გამარჯვება.

9.4. ქვეყნის იმიჯი

მსოფლიოს ტერიტორიაზე არსებულ ქვეყნებში მკვეთრად არის გამოკვეთილი ნაციონალური მახასიათებლები. როგორცაა, მაგალითად, გერმანული პუნქტუალობა, შვეიცარული სიმუსტე, ქართული სტუმართმასპინძლობა, რუსული სული და სხვა. ქვეყნის იმიჯზე მოქმედმა უარყოფითმა ასპექტებმა შესაძლებელია ხელი შეუშა-

ლოს ქვეყანაში დაღებიანი პროცესების მიმდინარეობას, მაგალითად - ქვეყნებში კორუფციის ზრდა ხელს უშლის ინვესტიციების შემოღობვას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ ქვეყნებში არ იარსებებდა კორუფცია, მაინც მსოფლიო ამ ქვეყნებს აღიქვამს როგორც კორუფციულს. ქვეყნის იმიჯზე უარყოფითად მოქმედებს უარყოფითი მოვლენებისადმი მთავრობის უმოქმედობა. როცა მსოფლიოს დიპლომატიულად მონაბრონე ქვეყნები მიუთითებენ იმაზე, რომ მსოფლიო გაეღიბება სხვა ქვეყნის ბანკებში, შემოსული გრანტები მოხმარება არ ხდება მიზნობრივად, რომ განათლების სისტემის დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხების ხარჯვა ხდება სხვა მიზნულებით და, ამ დროს, ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლები ამაზე არაერთად რეაქციას არ გამოხატავენ, სავსებით ნებრივია, საზოგადოების რეაქციაც ამ საკითხისადმი იქნება უარყოფითი. ასეთ პირობებში ქვეყნის იმიჯი მსოფლიოს თვალში ნისაზღვრება იმ ნეგატიური მოვლენების ფონზე, რომელიც ხელს უშლის ქვეყნის ცივილიზებულ წინსვლას.

ქვეყნის იმიჯი განსაზღვრავს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობას. ქვეყნების ურთიერთობაში ყოველთვის წინა პლანზეა რადი ინტერესები. პირადი ინტერესების გამო ერთი ქვეყანა ცდილობს შელახოს მეორე ქვეყნის იმიჯი, რაშიც მას ეხმარება ინფორმაციების გადაცემა მასმედიისა და პრესის საშუალებებით. ხშირად, ქვეყნის იმიჯის შელახვას ხელს უწყობს ქვეყნის უსურობა, ადეკვატური ზომების მისაღებად მოუშვადებლობა.

ქვეყნის იმიჯის შექმნისათვის ე. ოსტოვსკი და პ. ჩედროვი მნიშვნელოვნად თვლიან შემდეგ პრობლემებს:

- როგორია ქვეყნის თვითიდენტიფიკაცია;
- რა მიზანს ემსახურება ქვეყნის იმიჯი;
- ვინ არის დამკვეთი;
- ვინ არიან ის მოწინააღმდეგეები, რომლებიც ხელს უშლის მსოფლიოს თვალში ქვეყნის იმიჯის ამაღლებას?

საერთაშორისო იმიჯი - ეს არის კავშირების სისტემა, რომელიც მელთა არსებობა უზრუნველყოფილია შესაბამისი წესების დაცვით. ცივი ომში სსრკ-ის დამარცხება გამოწვეული იყო საბჭოთა კავშირის იმიჯის დაკარგვით და შესაბამისად, კავშირების სისტემის გაწყვეტით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყოველივე ასე არ ხდება. მ. გორბაჩოვის ხელმძღვანელობის დროს საბჭოთა კავშირმა დაკარგა თავისი ძველი იმიჯი, მაგრამ იგი ცდილობდა სხვა იმიჯის

მოპოვებას, რომელიც აგებული იქნებოდა დასავლურ ორიენტაცი-აზე. ქვეყანა, რომელიც ლობუნგად აყენებდა „დავეწოთ და გავუსწროთ“, ვერასოდეს შეძლებს გახდეს იდეალური დასავლური ნიმუში. საბჭოთა კავშირმა, ბუნებრივია, დაკარგა თავისი ძველი მიზნები და მიიღო პრაქტიკულად განუხორციელებელი ახალი მიზანი.

დსთ-ს ქვეყნებისათვის დღესაც აქტუალურია ქვეყნის იმიჯის როლი. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ უზბეკეთისა და რუსეთის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. როდესაც რუსეთში გაჩნდა აზრი იმის თაობაზე, რომ უზბეკეთი არის ის ქვეყანა, სადაც ირღვევა ადამიანთა უფლებები და არ მიმდინარეობს რეფორმა, უზბეკეთის მთავრობამ PR-ის გამოყენებით გააღწეა შეეშავებინა საზოგადოების აზრი ამ საკითხის თაობაზე. რეგიონში შეწყვიტეს „Комсомольская правда“ და „Труд“-ის გამოშვება. გაზეთების გამოშვების აღდგენას დასთანხმდნენ მხოლოდ იმ პირობით, თუ იქნებოდა დაბეჭდილი ინტერვიუ პრეზიდენტ ი.ქარიმოვთან. ბუნებრივია, ინტერვიუ დაიბეჭდა. ი. ქარიმოვი შეხვდა რუსეთის ინტელიგენციას, რუსეთიდან ჩამოვიდნენ უზბეკეთში ჟურნალისტები. მასმედიის დამოკიდებულება უზბეკეთის მიმართ დათბა.

როგორი იმიჯით სარგებლობს დღეს საქართველო დსთ-ს ქვეყნებს შორის? როგორია საერთაშორისო ინფორმაციული ნაკადი, რომელშიც აისახება საქართველოს ცხოვრება? მიაღწია საქართველო წარმოდგენილია როგორც მესამე მსოფლიოს ქვეყანა, საიდანაც ყოველთვის ვლბებულბოთ მხოლოდ ნეგატიურ ინფორმაციებს: გაფიცვები, აეარიები, მიწისძვრები, შეთქმულებები, ყაჩაღობა, ადამიანთა გატაცება, ომები და სხვა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული საქართველოს ზღის ყურადღების ობიექტად. ამ მოვლენების გაშუქებას ხელს უწყობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რაც იწვევს საზოგადოების გაღიზიანებას მთავრობისა და ქვეყნის უნაზრობის გამო. აშკარაა, ქვეყნის იმიჯი მსოფლიოს თვალში არ არის დამაკმაყოფილებელი. მუდმივად ჟურნალისტების ყურადღების ცენტრშია აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის პრობლემები, კოლორისა და პანკისის ხეობა, სადაც წლების განმავლობაში კონფლიქტის განვითარების ყოველი ცდა უშედეგო აღმოჩნდა. სიას შეგვიძლია დაემატოთ 1993-94 წლებში მოსახლეობის გაუსაძლისი გაჭირვება. როცა დასავლეთის ქვეყნებიდან ხალხი აგზავნიდა ჰუმანიტარულ დახმარებას, საქართველოში ამ დახმარებით ხელს ითბობდნენ მხოლოდ ერთეულები და, არაეინ იცოდა, სად მიდიოდა და სად ქრე-

ბოდა იგი. შესაბამისად, საქართველოს იმიჯი მსოფლიოში ფითად ფიქსირდებოდა.

უკრაინის რადიო „თავისუფლების“ დირექტორი რომან სკი შეკითხვამზე, როგორია უკრაინის იმიჯი მსოფლიოს – შემდეგნაირად პასუხობს:

თუ დავუჯერებთ დასავლეთის პრესას – რას აკეთებს რომ გააუმჯობესოს თავისი იმიჯი? აქვს თუ არა ინფორმაციები მსოფლიო პრესას იმის შესახებ, თუ რა გაგვაჩნია და რისი ყიდვა შეგვიძლია ჩვენ, სად შეიძლება ჩაიდოს ინვესტიციები?

ჩვენთან ჰყვებიან ზღაპრებს, როგორ კარგად გვლებულა საზღვარგარეთ. აშშ გვაძლევს ფულს – ისრაელისა და ეგვიპტის შემდეგ ამერიკის დახმარების ყველაზე დიდი რეცეიპიენტი ვართ. რატომ? იფიქრა კი ზემოთ ვინმემ ამაზე? დიდხანს ასე გაგრძელდება შეუძლებელია. კიდევ ერთი ორი წელი შეიძლება დაგვეხმარდეს შემდეგ კი, თუ არ იქნება ჩამოყალიბებული ნორმალური სამართლებრივი ურთიერთობა. უკრაინას ჯვარს გადაუსვამენ. მოდი, ნუ ვილაპარაკებ უკრაინის იმიჯზე. რუსეთისა კი ჩვენზე უკეთესი იმიჯი აქვს. შეიძლება ჩვენ უკეთესი ვართ, რომ იქ პრეზიდენტი ლოთია, რომ სახელმწიფო უშიშროების საბჭოში განგსტერები ზიან, რომ მათი წაკეწვავებს ჩეჩნეთი. ფაქტიურად ჩვენ უკეთესები არ ვართ. შეიძლება კი უკეთესები ვყოფილიყავით. რატომაც არა?”

პროპაგანდის თეორიიდან ცნობილია, რომ რამდენი ფულიც უნდა დაეხარჯოთ საინფორმაციო კამპანიაში, სტერეოტიპული მოდგენის შეცვლა პრაქტიკულად შეუძლებელია. შეიძლება ავადმჯობელთ ახალი მახასიათებლები, მაგრამ არ უარვყოთ ისინი, რომლებიც არსებობენ სტერეოტიპში. აშშ ხარჯავს დიდხანს თანხებს თავისი პროპაგანდისტული ცენტრების შესაქმნელად, რომლებიც გამოიყურებიან როგორც ურთიერთობის ცენტრები. ისინი გზავნიან ამერიკულ ფილმებს, ამერიკულ წიგნს და სხვა.

პროპაგანდა მუშაობს მხოლოდ მაშინ, როცა აუდიტორიასთან მისასვლელი გზა არ არის პირდაპირი. საინფორმაციო არეხებზე რეზულტიტი უჩვენოს უკრაინამ?

უკრაინას აქვს თანამედროვე ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი პოტენციალი. ანტონოვის გაერთიანება, „Южмаш“, „Моторსი“ და ა.შ. ტექნოლოგია ეს ცოდნაა. ცოდნა კი თანამედროვე მსოფლიოში უმაღლესად ფასდება. მათი პროპაგანდა დაეხმარება უკრაინას

ინას მოაწესრიგოს უკუკავშირი მსოფლიოსთან ლიცენზიების გაყიდვის საშუალებით.

უკრაინას ჰყავს ცნობილი სპორტსმენები, რომლებიც გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები. გყავდეს ცნობილი სპორტსმენები – ეს არის ქვეყნისათვის დიდი გამარჯვება, რაც არ აქვს სხვა ქვეყნებს. სპორტსმენებით ინტერესდება არა მარტო საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, არამედ მთელი საზოგადოება. უკრაინის პრეზიდენტის ამერიკაში მოგზაურობისას პერსონალური მიწვევა მიიღეს უკრაინის ცნობილმა სპორტსმენებმა, რომლებმაც იმოგზაურეს პრეზიდენტთან ერთად. დასავლეთის ქვეყნებს აქვს საშუალება იმისა, რომ ნახოს უკრაინა თავისი თეალით, მხოლოდ მათთვის მისაღებ ნორმებში. ამიტომ სიახლეების სისტემატური გაშუქება უნდა პასუხობდეს იმ სტანდარტებს, რომლის აღქმაც შეუძლიათ ჩვენ მხარდამჭერებს. დასავლეთის ქვეყნების ეურნალისტებს აქვთ ინფორმაციის გაშუქების თავიანთი კანონები. მკითხველი ინტერესდება ჩვენი ცხოვრების სხვა ასპექტებით, ამიტომ ჩვენი ინფორმაცია უნდა შესაბამებოდეს იმ სტერეოტიპებს, რომელიც მიღებულია საზღვარგარეთ.

უკრაინის იმიჯის ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხელოვნება და კულტურა. პროფესიონალური ბალეტის, ოპერის გასტროლები საზღვარგარეთ ატარებს, ერთი მხრივ, ინდივიდუალურ ხასიათს, მეორე მხრივ, ნათლად ასახავს ჩვენი ღრვის არსს. უკრაინაში ამჟამად ნაკლები ყურადღება ექცევა ინტელექტუალურ ნაკადს, რაც საშიშროებას უქმნის ქვეყნის განვითარებას. ინტელექტუალური ნაკადი დაეხმარებოდა მას მსოფლიოსთან დაკავშირებაში, სსრკ-ში მეცნიერების გასვლა ხდებოდა საზღვარგარეთი მოსკოვის გავლით და ყველა იწოდებოდა რუს მეცნიერად. საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების იმიჯს განსაზღვრავდა გამომდინარეული ქვეყნის იმიჯი.

თანამედროვე მსოფლიოში პირველ ადგილზე დგას სხვადასხვა სახის ცოდნა, ინტელექტუალური მოღვაწეობა. ქვეყნები, რომლებიც ჰყიდიან ინტელექტუალურ პროდუქტს, გამოდიან პირველ ადგილზე დამოუკიდებლად იმისა, აქვთ თუ არა მათ რესურსებით მხარდაჭერა. შვეიცარიული დირიჟორი პ. დლიაბოგა თელის, რომელიც შეყვანა, რომელიც მსოფლიოს აცნობს მხოლოდ თავის ფოლკლორს – ეს არის პროფესიონალიზმის გამოვლინება. იგი აღნიშნავს, რომ უკრაინა დასავლეთის ქვეყნების თეალში ვერ ამაღლდება

ტრაქტორების, რაკეტების, მეტალის, ხორბლის რაოდენობის არის აუცილებელი ნივთები, და ბოლოს, ბანალური ინფორმაციის უკრაინის შესახებ. უკრაინა ვახდება მსოფლიოში მნიშვნელოვან მხოლოდ თავისი კულტურით.

ზემოთ აღნიშნული მაგალითიდან შეგვიძლია დავასკვნათ ქვეყნისა და მისი ლიდერის იმიჯი (განსაკუთრებით გარდა პერიოდის ქვეყნების შემთხვევაში) აუცილებლად უნდა იყოს სიმწიფოს პრიორიტეტების რიცხვში. ამისათვის საჭიროა გავაანალიზოთ ვაჲ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქვეყნის კულტურის, მეცნიერების განვითარებას, ინტელექტუალური დონის ამაღლებას, რადგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის იმიჯის ფორმირება მოხდება არასასურველი გზით.

ანალოგიური მაგალითების მოყვანა შესაძლებელია საქართველოს იმიჯის შესახებ. კრიზისულმა მდგომარეობამ, ძმთა მკვლელობამ და აიძულა ინტელიგენცია დაეტოვებინა საქართველო თავშესაფარი მოეძებნა დასავლეთის ქვეყნებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მუსიკოსები, მომღერლები, მსახიობები, რომლებიც დაფუძნდნენ საზღვარგარეთ და ამჟამად ვმსახურებიან ევროპული კულტურის შემოტანას საქართველოში გასტროლების, კონკერტების, მუსიკალური საღამოების სახით. რა თქმა უნდა, კარგია საქართველოს იმიჯის ასამაღლებლად, მაგრამ საკმარის არ არის. იმიჯის ამაღლებისათვის საჭიროა იმ სტანდარტული ნაკემების დაცვა, რაიმელიც ცივილიზებული დასავლეთის ქვეყნებისათვის არის მისაღები.

9.5. საარჩევნო კამპანიების იმიჯი

საარჩევნო კამპანიის დროს, პარტიული სიყბით არჩევისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება პარტიისათვის სათანადო იმიჯის შექმნას, რომლის მიღწევა უმეტესწილად ხორციელდება მასებთან მუშაობის შედეგად. მათორიტარული დეპუტატების არჩევნების შემთხვევაში ეს ელექტორატის კავშირი დეპუტატთან შედარებით ადვილია, ამიტომ დეპუტატის იმიჯის განსაზღვრა ამომრჩევლისათვის სირთულეს არ წარმოადგენს. ამომრჩეველი ხმას აძლევს იმ დეპუტატს, რომელიც მაღალი რეატივით სარგებლობს ამომრჩეველებს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი არჩევნები გამოირჩევა განსხვავებული თავისებურებით, ამიტომ შეუძლებელია ერთ